ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 161 კვირა, 16 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 16 ივლისი 1922 წ. № 161

საქართველოს კომპარტიის ცეკა აუწყებს ყველა ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის, პარტიის ვეტერანის,

ამხანაგ კამოს

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ღამით 14 ივლისს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ ამა ივლისის 14-ს ღამით ტრაგიკულად დაიღუპა რევოლიუციის საუკეთესო მებრძოლი ძვირფასი ამხანაგი

კამო (სიმონი) ტერ-პეტროსოვი.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს აღმასკომი იუწყება

ამხ. კამოს

ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ. მდივანი მეხხი.

გეურქ და ლიზა ბახჩიევები, ჯავაირა ხუტულაშვილი, სანდუხტა ნერსესოვი, არუსიაკ ცინცაძე და ლიუსია პეტროსოვის ასული, თავზარდაცემულნი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ამხანაგებს—პირველნი დისწულის, ხოლო მეორენი ძვირფასი ძმის

კამო (სიმონ) პეტროსოვის

ტრაგიკულად სიკვდილის შესახებ ამა 1922 წ. ივლისის 14 ს ღამით. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

18 ივლისს, სამშაბათს, საღამოს 6 საათზე სასახლის სპარსულ დარბაზში

შესდგება მორიგი სხდომა

რულ. საქართვ. ც. აღმასკომის პრეზიდიუმისა.

მდივანი თ. კალანდაძე.

ორშაბათს, 17 ივლისს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლის შენობაში შესდგება

მეორედ მოწვეული თბილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) გერმანიის ამბების შესახებ.
2) პრეზიდიუმის ცნობები და მიმდინარე საქმეები.

საკითხების დიდმნიშვნელოვანობის გამო, ყველა წევრების დასწრება ვალდებულოა.

(2—2) მდივანი: მეხხი.

ძმური კავშირისათვის

ჩვენი მტრები, საბჭოთა ხელისუფ- ების მტრები, რომელთა ერთ მთა- რ მიზანთაგანს შეადგენს ქართველ ლხის გადაკიდება რუს ხალხზე, ამ რ ერს შორის გაუნელებელი ნაციონალური სიძულვილის და შუღლის მოგდება, და ამ გზით რევოლიუ- ის დასამარება, თავიანთი შოვინის- ური და ბურჟუაზიულ-კლასობრივი ახვების განხორციელება,—სულ დამ იმას გაიძახიან, რომ საბჭოთა უსეთმა დაიპყრო „დემოკრატიული“ „თავისუფალი“ საქართველო და აქ აგრძელებს იმ იმპერიალისტურ ლიტიკას, რომელსაც თვითმპყრო- ლი რუსეთი ეწეოდა ჩვენში და ერთოდ განაპირა ქვეყნებში.

რა თქმა უნდა, ეს არის უსირცხვი- ო პროვოკაცია საბჭოთა ხელის- ულების და დღევანდელი რევო- უციონური რუსეთის შესახებ. მაგ- მ მას მაინც ერთგვარი გასავალი ნდა და შეიძლება დღესაც აქვს გიერთ წრეებში.

და რომ ასეთი პროვოკაცია კიდევ საძლებელია ჩვენში, ეს აიხსნება ა მარტო იმ ფაქტით, რომ მენშე- კები და ყველა მათთან მყოფნი ამ რივ დიდ „მუშაობას“ ეწევიან, არა- დ იმითაც, რომ საშინელი იყო ნაციონალისტური შეურაცხყოფა და ვიწროება, რომელსაც მეფის რუ- თი აყენებდა საქართველოს მთელი უკუნის განმავლობაში. სრული მოს- ბა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებ- ვობის და მისი გადაქცევა რუსეთის პერიის უბრალო გუბერნიად, ქარ- ველი ხალხის სუვერენობის ფეხ ქვეშ თელვა, მისი ენის შელახვა, სი ეროვნული კულტურის გა- დგურება, ქართველი ხალხის სიფიკაცია,—აი ის პოლიტიკა მელსაც უხეშად ატარებდა თვით- ყრობელობა საქართველოში.

ასეთმა პოლიტიკამ შექმნა ქართ- ლ ხალხში პსიქოლოგიური განწყო- ლება უნდობლობის, სიძულვილის ა მარტო ძველ რუსეთისადმი, არა- დ ზოგიერთებმა ეს განწყობილება ერციულად გაავრცელეს ახალ რუ- თზედაც. სულ ერთია, რუსეთი, ვითმპყრობელური იქნება ის, თუ ბჭოთა,—ის მაინც იმპერიალისტუ ა და მცირე ერთა უფლებების რმყოფელი,—აი ზოგიერთების „ფი- ოსოფია“. ამ ახალ მოვლენათა კრი- კულ შეუფასებლობის, გონებრივ უმოძრაობის და პსიქოლოგიურ კონსერვატიზმის ნიადაგზე მოინდომეს ბატონ მენშევიკებმა ხელის მოთბობა და სამი წლის განმავლობაში ხელოვნურად აძლიერებდნენ ქართველ ხალხში ისტორიულ უკულმართობით შექმნილ ნაციონალისტურ სიძულვილს რუსი ხალხისადმი და რუსეთის სახელმწიფოსადმი.

ჩვენ იმთავითვე უმტკიცებდით ქართველ ხალხს, რომ სრულიად უსაფუძვლოა და უმართებულოა ასეთი მტრული განწყობილების გადატანა რევოლიუციონურ რუსეთზე და მის მუშურ-გლეხურ საბჭოთა მთავრობაზე. ჩვენ ვამბობდით, რომ თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიალისტური და მცირე ერების დამონების პოლიტიკა ერთხელ და სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას, რომ დადგა სრულიად ახალი პერიოდი საბჭოთა რესპუბლიკების ხალხების ურთიერთი პატივისცემის, თანამშრომლობის და დახმარების, რომ კერძოდ საბჭოთა რუსეთი არამც თუ აგრძელებს თვითმპყრობელურ პოლიტიკას, არამედ შეუბრალებლად სპობს მის ყოველგვარ ნაშთებს და გამოდის დაჩაგრულ ერების ჭეშმარიტ განმანთავისუფლებელის როლში.

და ეს არ იყო ცარიელი, ლიტონი განცხადება. საბჭოთა მთავრობამ ნაციონალურ თვითგამორკვევის და სახელმწიფოებრივ კულტურულ ცხოვრების გზაზე გამოიყვანა ისეთი ხალხებიც კი, რომელნიც მეფის პოლიტიკამ სრული გადაშენებამდე მიიყვანა,—და რომელთა არსებობის და ბედიობლის შესახებ არავინ იყო წინედ დაინტერესებული, გარდა ცნობის მოყვარე ისტორიკოსებისა, ეტნოგრაფების და გეოგრაფებისა.

და, რა თქმა უნდა, შედარებით ისეთი კულტუროსან ხალხს, როგორიცაა, მაგალითად, ჩვენი ხალხი, რომელიც თავის ისტორიულ ცხოვრების ათას წლებს ითვლის, ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს საბჭოთა რუსეთი პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პროგრესის საქმეში.

ჩვენ გვინდა ამის დამამტკიცებელ, ერთ ფრიად თვალსაჩინო საბუთს მივაქციოთ ჩვენი შრომელი ხალხის განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება საუბარი განათლების სახალხო კომისარ ამხ. კანდელაკთან იმ სამუზეო და საარქივო განძეულობის რუსეთიდან დაბრუნების შესახებ, რომელიც სხვა და სხვა დროს, ძველი რეჟიმის ხანაში, გაზიდული იყო ჩვენი ქვეყანიდან.

როგორც ვიცით, მეფის მთავრობამ, რომელიც ისახავდა მიზნად ქართველი ხალხის, სხვათა შორის, კულტურულ განადგურებას, გაცარცვა ჩვენი ერი კულტურულად და გაზიდა რუსეთში აუარებელი, ფასდაუდებელი სხვა და სხვა განძეულობა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრების და შემოქმედების საუცხოვო ნიმუშს.

ქართველ საზოგადოებრივ წრეებში არა ერთხელ დასმულა საკითხი ამ განძეულობის უკან დაბრუნების შესახებ, არა ერთი და ორი საამისო შუამდგომლობა აღუძრავთ მეფის მთავრობის წინაშე, მაგრამ ეს უკანასკნელი აინუნშიაც არ იღებდა ჩვენი ხალხის კანონიერ და სამართლიან მოთხოვნილებას. და ეს, რასაკვირველია, ასეც იყო მოსალოდნელი.

ეს საჭირბოროტო და მტკივნეული საკითხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადასჭრა ქართველი ხალხის სასარგებლოდ.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გადადგა ამ მხრივ ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი და აღნიშნულ საქმის მოსაგვარებლად გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მოსკოვში. შედეგი ვიცით: რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა, იქაური პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდი თანაგრძობით შეხვდნენ ამ საქმეს, და გადაწყდა დაუბრუნდეს საბჭოთა საქართველოს ყველა კულტურული განძეულობა, რომელიც წინედ იყო აქედან გაზიდული, მთელი ეს სიმდიდრე, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებით, უნდა იქნეს გადმოტანილი არა უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისისა.

ამგვარად, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გამოასწორა ის უდიდესი ისტორიული უსამართლობა, რომელიც ჩაიდინა რუსეთის ყოფილმა თვითმპყრობელმა მთავრობამ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს ამ აქტს. ის ერთხელ კიდევ ზედმეტად მოწმობს ძმურ კავშირზე საქართველოსა და რუსეთის შორის.

ამასთან იგი ახალ სტიმულს და წყაროს მისცემს ქართველ ხალხის მეცნიერულ და კულტურულ განვითარებას.

და ეს დიადი საქმე ჩაიდინა საბჭოთა ხელისუფლებამ, ახალ რევოლიუციონურმა რუსეთმა, რომლის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის მტრები და მოღალატენი ცდილობენ ამხედრონ ის გამოგონილი ჭორებით რუსეთის „წითელ იმპერიალიზმის“ შესახებ. მაგრამ დღეს გამოქვეყნებული ფაქტი განძეულობის დაბრუნების შესახებ ერთხელ კიდევ დაარწმუნებს ქართველ ხალხს, თუ როგორია რუსეთის „იმპერიალიზმი“ და ნიადაგს გამოაცლის ყოველ ჯურის პროვოკატორებს.

ალაგმვა ამ პროვოკატორების, საბოლოო გაფანტვა ნაციონალური უნდობლობის რუსეთის ხალხისადმი, კავშირის უფრო განმტკიცება საქართველოსა და რუსეთს შორის, რასაც დიდად შეუწყობს ხელს ზემოდ ხსენებული გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობის,—ასეთია ჩვენი ამოცანა, რომლის განხორციელებას მთელი ძალღონით უნდა ვცდილობდეთ.

საქართველოს სამუზეუმო და საარქივო ძვირფასი ნივთების რეევაკუაცია რუსეთიდან

(საუბარი ამხ. კანდელაკთან)

ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნდა სახალხო განათლების კომისარი ამხ. კანდელაკი, რომელმაც ჩვენ თანამშრომელთან ბაასის დროს თავის მოგზაურობის შესახებ გადმოგვცა შემდეგი:

„მე შევეხები მხოლოდ იმ დავალებას, განაცხადა ამხ. კანდელაკმა, რომელიც მე დამაკისრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ, სახელდობრ, იმ სამუზეუმო და საარქივო ძვირფასი ნივთების რეევაკუაციას, რომელნიც ამ ჟამად ინახებიან რუსეთის მუზეუმებსა და საარქივო დაწესებულებებში და **რომელნიც გაზიდული იყვნენ საქართველოდან მისი რუსეთთან შეერთების წლიდან, ე. ი. დაახლოვებით 1783 წლიდან.** გარდა ამისა, როგორც ვიცით, იმპერიალისტური ომის დასაწყისში, იმ საკითხის გამო, რომელიც ემუქრებოდა მთელ ამიერ კავკასიას ოსმალთა შემოსევისაგან, რუსეთში წაღებულ იქნა მრავალი ძვირფასი განძეულობა ჩვენი მუზეუმიდან და მონასტრებიდან. ამ სიძველეთა კვლავ უკან საქართველოში დაბრუნების საკითხი არა ერთხელ აღძრულა ქართველ საზოგადოებრივ წრეებში და ჯერ კიდევ რევოლიუციამდის იყო ხშირად ცდა როგორმე მოეხერხებიათ, რომ მეფის მთავრობა დათანხმებულიყო ზოგიერთ ამ სიძველის ნაშთების საქართველოშივე დაბრუნებაზე.

რასაკვირველია, ყოველგვარი ასეთი ცდა უნაყოფოდ თავდებოდა.

ჩემი მოსკოვში ჩასვლისთანავე, ეს საკითხი მე დავსვი ცენტრალური [illegible] ვნიშნო, რომ მე იმ თავითვე მივიღე დიდი დახმარება ამხ. ლუნაჩარსკისა და პოკროვსკისაგან. მაგრამ ვინაიდან ეს განძეულობა ძალიან დიდათ საინტერესოა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ საერთოდ მსოფლიო კულტურისათვის, გადაწყვეტილ იქნა ეს საკითხი განეხილათ სპეციალურად მოწვეულ კონფერენციაზე, რომელზედაც მოწვეულ იქნენ ცნობილი სამეცნიერო ძალები აკადემიკოს მარისა და ოლდენბურგის მეთაურობით. ამ კონფერენციაზე მე წარვადგინე დაწვრილებითი და სავსებით საკმარისი მასალა, ყველა იმ განძეულების დეტალური აღწერით, რომელნიც გაზიდულნი იყვნენ საქართველოდან. მე ორის მხრივ მივუდექი ამ საკითხს: ერთის მხრივ ამ განძეულობის დაბრუნებას აქვს უეჭველად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგანაც ამ აქტით ერთხელ კიდევ განმტკიცებული იქნება ის ძმური და მეგობრული კავშირი, რომელიც არსებობს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის. მეორეს მხრივ კი ამას აქვს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა და მთელი რიგი სპეციალისტებისა კულტურისა და ხელოვნების სფეროში ყოველთვის იზიარებდენ იმ თვალსაზრისს, რომ წარსულ დროების ყველა ნაშთებისა და განძეულების ერთ ცენტრში თავის მოყრა, წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას კულტურული განვითარებისათვის.

გარდა ამისა საქართველოსათვის, რომელიც ამ ჟამად თავის სახელმწიფოებრივობას აშენებს ახალ საფუძვლებზე, აქედან გაზიდულ განძეულობის უკანვე დაბრუნება, გახდება დიდ მამოძრავებელ ძალათ ჩვენი ქვეყნის კულტურული პროგრესისათვის.

პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს შორის ჩემმა განზრახვამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია და ისინი გვპირდებოდენ ყოველგვარ დახმარებას.

ხსენებულ კონფერენციის მუშაობის შედეგი გახლდათ ის, რომ მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც შემდეგ დაადასტურა ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რომლის ძალითაც საქართველოდან გატანილი მთელი განძეულობა, რომელიც ამ ჟამად ინახება სხვა და სხვა მუზეუმებში, უნდა დაუბრუნდეს საქართველოს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს განძეულობა ამ ჟამად გაფანტულია სხვა და სხვა ქალაქებში, შენახული აქტების შემწეობით, მაინც შესაძლებელი გახდა აღმოგვეჩინა სად და სახელდობრ რა ნივთი ინახება. ეს განძეულობა წარმოადგენს დიდ ღირებულებას ხელოვნებისა და ისტორიის თვალსაზრისით და მათი რიცხვი იმდენათ დიდია, **რომ მხოლოდ 1915 წლიდან საქართველოდან გაზიდული იყო 4 მატარებელზე მეტი ქონება.**

აქ აღვნიშნავ მხოლოდ ამ განძეულობიდან ყველაზე უფრო შესანიშნავ საგნებს.

სამეცნიერო აკადემიის აზიის მუზეუმიდან უნდა დაბრუნებულ იქნეს საქართველოს ბატონიშვილის თეიმურაზის (სამეცნიერო აკადემიის წევრის) უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს გარდა ძველად-ნაბეჭდი წიგნებისა, რამოდენიმე ასეულს უძველეს ქართულ ხელთ ნაწერს, რომელიც ბატონიშვილმა აკადემიკოს ბროსეს რჩევით ჩააბარა მუზეუმს შესანახად 1848 წელს.

არსებობს დაწვრილებითი კატალოგი ბიბლიოთეკისა, რომელიც შედ- [illegible] ინახება.

პეტროგრადის საზოგადო ბიბლიოთეკას, ქართული ხელთ ნაწერების მიხედვით, უკავია პირველი ადგილი მთელ ევროპაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მე-10—12 საუკუნოების 400 ხელთნაწერი კოლექცია, ასზე მეტი ძველად დაბეჭდილი წიგნი და დაახლოვებით 80-მდე სხვა და სხვა აქტი და ავტოგრაფი. განსაკუთრებით ვრცელია წმინდა მეცნიერების განყოფილება. არის წიგნები კოსმოგრაფიიდან, ფიზიკიდან, ქიმიიდან, ალქიმიიდან, მედიცინიდან და საერთოდ ბუნების მეტყველებიდან. ყველა ისინი საყურადღებო არიან არა მარტო წმინდა ისტორიულის მნიშვნელობით, არამედ მათ აქვთ დიდი მეცნიერული ღირებულებაც, რადგანაც იგი ამტკიცებს იმას, რომ გარდა ღვთის მეტყველობისა და ფილოსოფიური მეცნიერებისა ქართველები მისდევდენ წმინდა მეცნიერებასაც, შეუმუშავებიათ რა შესანიშნავი და დეტალურად სწორი ტერმინოლოგია, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გეოგრაფიული რუქის ორიგინალი, რომელიც შეუდგენია ბატონიშვილს ვახუშტს თავისი ცნობილი წიგნის „გეოგრაფიისათვის“. ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე პაპირუსული და პერგამენტული ხელთნაწერები (პიწუნდის სახარება) და ამ უკანასკნელ ხანებში დადიანის ბიბლიოთეკიდან გატაცებული, შესანიშნავად შენახული ბერძნულ-ქართული ხელთნაწერი (სახარება), რომელშიც მრავლად არის მოთავსებული პატარა და შესანიშნავი ხელოვნებით დასურათებული მინიატიურები.

ერმიტაჟიდან უნდა დაბრუნებულ იქნეს სახარების ყდა, შესანიშნავი და იშვიათი ქართული ხელოვნების ნაყოფი, რომელიც გაიტაცა გელათის მონასტრიდან, მისი განახლების საბაბით, გუბერნატორ ლევაშოვმა.

მრავალი განძეულობა წამოღებულ უნდა იქნეს აგრეთვე საზამთრო სასახლიდან, პეტროგრადის სასულიერო აკადემიიდან და ადმირალტეისტვოდან. დაბრუნებულ იქნება აგრეთვე ჩვენი ძველი ლეგალური სამეფო გვირგვინები, ტახტები, სამხედრო მორთულობანი, იარაღები და დროშები, რომელნიც ინახებიან მოსკოვის იარაღთა პალატაში. აღსანიშნავია ორი ზარბაზანი რაჭის ერისთავის როსტომისა ქართულის წარწერებით.

ძალიან დიდ ინტერესს წარმოადგენს ერთ ერთი ძველი ხელთნაწერი შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსნისა“, რომელიც ეკუთვნოდა პირადათ მეფე ერეკლეს და ცხრა სურათი საქართველოს მეფეებისა და ბატონიშვილებისა (მე-15—17 საუკუნოებისა) და აგრეთვე აუარებელი სხვა სურათებიც, რომელნიც სხვადასხვა ფერადი საღებავებით არის შესრულებული. მათ შორის არის რუსთაველის სურათიც.

სინოდალურ ეკლესიაში ინახება მრავალი პაპირუსული და პერგამენტული ხელთნაწერები (ფსალმუნი მე 7 საუკუნისა) და აუარებელი რიცხვი ძველი წიგნებისა, რომელთაც აღრიცხვაც კი ძნელია, რადგანაც ისინი კატალოგში არ არიან შეტანილი. ზოგიერთი მათგანი ჩაწყობილი იყო პატრიარქ ტიხონისაგან ყუთებში და შენახული მოსკოვის დედათა მონასტერში არ ვიცით რა მოსაზრებით იქნა ეს ჩადენილი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ჟამად ისინი ყველა აღმოჩენილია და დაბრუნებული იქნებიან.

ბევრი ძვირფასი ნივთები დაბრუნებული იქნება აგრეთვე უკრაინიდანაც. აქ აღსანიშნავია ძვირფასი მიტრა დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათოლიკოსის მაქსიმესი, [illegible] ლავრაში. სოფიოს სობოროში ინახება ძალიან ძვირფასი საპატრიარქო ანაფორა, რომელიც შეკერილი იყო მეფე არჩილ მე-II ბრძანებით. სასულიერო აკადემიის მუზეუმიდან დაბრუნებულ იქნება ქართული ხატი მე-12 საუკუნისა, ხოლო ლივალის სასახლის ეკლესიიდან — ერთ-ერთი იშვიათი ძეგლი ქართული ხელოვნებისა—ღვთისმშობლის ხატი, რომელიც გატაცებული იქნა სიონის სობოროდან.

არა ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენს ყველა ის ნივთები, რომელიც აქედან გაზიდულ იყო 1914 წლის შემდეგ. აღვნიშნავ აქ მხოლოდ სამხედრო მორთულობისა და იარაღის იმ კოლექციას, რომელიც ინახებოდა დიდების ტაძარში თბილისში. ყოველივე ამას უნდა დაუმატოთ სხვა და სხვა არქეოლოგიური დოკუმენტები, როგორც მაგალითად: აქტები და საქმეები თბილისის და ქუთაისის გუბერნიებისა და სოხუმის ოლქისა და სხვ.

ძალიან დიდი ხელოვნური მნიშვნელობისაა შინა წარმოების მუზეუმის კოლექცია, რომელიც აქედან იყო გატანილი 1915 წ. იანვარში.

ზოგიერთი ამ ძველათ გაზიდულ ნივთებიდან, რომელთაც არ აქვსთ მნიშვნელობა საქართველოსთვის, რჩება ისევ რუსეთის მუზეუმებში.

ყველა ზემოთ აღნიშნული განძეულობა, ცენტრალური ხელისუფლების დადგენილების თანახმად, გამოზიდულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სექტემბრის დასაწყისისა.

ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად პეტროგრადში დაარსებულია სპეციალური კომისია, განათლების ერთ ერთი პასუხისმგებელ მოღვაწის თავმჯდომარეობით, რომელშიდაც შედიან სამეცნიერო აკადემიისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლები.

დასასრულ მე ერთხელ კიდევ მივუთითებ იმ დიად პოლიტიკურსა და კულტურულ მნიშვნელობაზე, რომელიც ექნება ყველა აქედან გაზიდულ განძეულობის უკანვე დაბრუნებას.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის ფინანსების შესახებ

პურის დამზადების სეზონი უკვე დადგა. თუ საქართველოში კარგი მოსავალი დარჩა, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ქალაქების მცხოვრებთათვის საჭირო პურის ნახევარზე მეტ რაოდენობას. მოგვცემს მიმდინარე წელს თვით გლეხური საქართველო და ის ორგანიზაციები და პირები, რომელნიც შესძლებენ პურის მნიშვნელოვან მარაგის თავის ხელში დაგროვებას, არ იქნებიან სხვებისაგან დამოკიდებული, და პირიქით თვითონ შესძლებენ უკარნახონ ბაზარს პურზე ფასები.

თბილისის მუშა მოსამსახურეების პურით უზრუნველყოფის ამოცანა უდგება წინ გადასაჭრელად მუშათა მთლიან კოოპერატივს. რომ ეს ამოცანა შეასრულოს, მუშკოპმა მიმდინარე სეზონში უნდა დაამზადოს დ̃ დახარჯოს შემდეგი თანხა (მილიონ მანეთში)

300,000 ფ.	მარცვალი	200 ათას მან. ფ.	—6000
15,000 „	კარტოფილი	1000 „ „ „	15,000
30,000 „	ხახვი	200 „ „ „	600
5000 „	ლობიო	180 „ „ „	900
3000 „	ნიგოზი	200 „ „ „	600
1500 „	ყველი დ̃ ერბო	1200 „ „ „	1800
5000 „	თივა	25 „ „ „	125

სულ 11.525.000.000 მანეთი

ამ სანიმუშო ხარჯთ-აღრიცხვაში არ შედის არა სასარგებლო პროდუქტები, როგორც შაქარი, ჩაი, საპონი თევზი, მარილი, ბრინჯი, მანუფაქტურა, ფეხსაცმელი და სხვა, რომლის შესყიდვა შეიძლება განუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში.

თუ წარმოვიდგენთ, რომ დამზადების სეზონში ამ პროდუქტების ნახევარი რაოდენობა გასაღებულ იქნება, მუშკოოპს მაინც სჭირდება დამზადების განსახორციელებლად 5—6 მილიარდი მანეთი.

ასეთი თანხის გამოყოფა თავისი საშუალებებიდან დასამზადებლად მუშკოოპს არ ძალუძს, არა იმიტომ, რომ მუშკოოპის საქმეები ცუდად არის: ამ ძლიერი სამეურნეო და პროლეტარული ორგანიზაციის ცხოველმყოფელობას და სიდიადეს ამტკიცებს მისი მუშაობის მთელი ისტორია ფაქტების და ციფრების რიგებით. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ეს, მომავალშიაც შევეხებით მას. ეხლა მივუთითებთ მხოლოდ იმაზე, რომ მუშკოოპის ბალანსის მდგომარეობის შესახებ ცნობები 1 ივლისისათვის მოწმობენ რომ მისი აქტივი სჭარბობს პასივს — 7,439,201,000 მანეთით.

მუშკოოპის მომხმარებელ მასსასთან კავშირის შესახებ, შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ მუშკოოპის მაღაზიებში და დუქნებში მყიდველების რაოდენობის საშუალო რიცხვი შეადგენს ყოველდღიურად 4-დან 6 ათას კაცამდე და ამას გარდა მუშკოოპის სარძეო დუქნებში რძეს ყიდულობს 1500—2000 კაცი.

მაგრამ შემდეგში თავისი სავაჭრო მოღვაწეობის წარმოება მუშკოოპს არ ძალუძს.

თავის საშუალებებს მოკლებული, მუშკოოპი უიმედოდ გაუშვებს დამზადების სეზონს, და ეს კი იქნება მუშკოოპის დასუსტების დასაწყისი, დასაწყისი საქართველოს მუშათა კოოპერატივის არასასურველი დასასრულის.

ფრიად არა სასიამოვნო გარემოება შეიქნა ამ ჟამად მუშათა კოოპერატივისთვის, კოლექტიური ხელშეკრულების დადებამ აიძულა მუშკოოპი შეემცირებია მოსამსახურეთა შტატი 100 კაცით.

მათი სალიკვიდაციო შეადგენს 800 მილ. მანეთს; ამას გარდა სამსახურში დარჩენილ მოსამსახურეებისათვის ჯამაგირის მიცემის სხვაობა წინანდელთან შედარებით შეადგენს (კოლექტიური ხელშეკრულებით) 700 მილ. მანეთს. მაშასადამე, სულ მუშკოოპი იძულებულია ერთდროულად 1 ივლისს შემდეგ თავის სალაროდან გაიღოს 1500 მილ. მანეთი, რაც სრულებით აუძლურებს მის სალაროს. საჭიროა გავიხსენოთ საფინანსო მომენტები მუშკოოპის დაარსების ისტორიიდან. ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში, მუშკოოპის დაარსებისას, დაახლოებითი გამოანგარიშებით მუშკოოპს სჭირდებოდა საბრუნავ საშუალებად მაშინდელი კურსის მიხედვით **20 მილიარდი მანეთი.**

ქონდა რა მხედველობაში ასეთი საშუალების გამონახვის შეუძლებლობა, მუშკოოპმა დაიყვანა თავისი მუშაობის პროგრამა თავისი წევრების დაკმაყოფილების მხოლოდ მეოთხედ ნაწილამდე, შეამცირა რა ხარჯთაღრიცხვა 5 მილიარდ მანეთამდე, საქართველოს რევკომი დათანხმდა ამ თანხის უპროცენტოო გასესხებაზე მაგრამ ფაქტიურად მუშკოოპმა მიიღო შემდეგი:

1500 მილიონი აზერბეიჯანის ბონებით, (500 მილ. მანეთი ქართული ბონებით მაშინდელი კურსის მიხედვით) და 50 მილიონი ქართული ბონებით ე. ი. დაპირებულ თანხის დაახლოებით 11 პროც.; 15—16 პროც სასურ. სახ. კომ. საქონელით, 25 პროც. საქონელითვე (უმთავრესად მცირე მოთხოვნილების) პროფკავშირთა საბჭოსაგან. საერთოდ მიღებულ იქნა მინიმალური თანხის 50 პროც. რაც ეყოფა მუშკოოპის წევრების ერთი მეოთხედ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ეს მინიმალური საშუალებები მუშკოოპს არ გამოუყენებია ცუდად როგორც ზევით იყო აღნიშნული მაგრამ თავისი მოღვაწეობის განვითარება შემდეგში ამ საშუალებებით მუშათა კოოპერატივს არ შეუძლიან; მას უნდა მიეცეს საბრუნავი თანხა.

მუშათა კოოპერატივი შუამდგომლობს მისთვის გრძელვადიან **პროცენტიან დახმარების სესხის** მიცემაზე 5 მილიარდი მანეთის რაოდენობით. საკითხი ისმება პირდაპირ: ან-ან.

უარი სესხის გაცემაზე ეხლავე გამოიწვევს საქონლის ტრიალის თანდათანობით და თავიდან აუცილებელ შემცირებას.

მაგრამ ამას გარდა, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, თბილისის საქონლის ბაზარზე **უკვალოდ გაქრება მუშათა კოოპერაცია,** რომელიც იცავს მუშათა კლასის ინტერესებს.

ამასთანავე მუშათა კოოპერატივი ებრძოდა აგრეთვე სამოქალაქო კოოპერაციას შორის არსებულ არა საღ მიმდინარეობას.

ჩვენის მხრით ჩვენ მიგვაჩნდა აუცილებლად მუშათა კოოპერატივისთვის დამზადების პერიოდში კიდევ ერთი დახმარების გაწევა: სატრანსპორტო სესხი.

საქმე იმაშია, რომ რკინის გზის ფრახტები ძლიერ დიდია ამ ჟამად, და ყლაპავს ყველა იმ საშუალებათა 25 პროცენტს, რომელიც სჭირდება დამზადებას. საჭიროა ფრახტის გადახდა გადადებულ იქნას დამზადებულ პროდუქტების განაღდების შემდეგ დროისთვის, რათა მუშათა კოოპერატივს საშუალება მიეცეს ნაყოფიერად დახარჯოს ყოველივე კაპეიკი პურზე, კარტოფილზე, ლობიოზე და სხვაზე თბილისის მუშებისათვის.

დ. ზახაროვი.

საქართველოს ეროვნული

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

გერმანიის ამბები

გაფიცვების დამთავრება.

ნაუენი. 14 ივლისი (რადიო). ნავთსადგურების მუშებისა და გემების მოსამსახურეთა გაფიცვა ჰამბურგში დამთავრდა. შორეულ ცურვის მეზღვაურებმა, ინჟინრებმა და დოკერებმა მიიღეს პირობები რომელიც მათ წარუდგინა საარბიტრაჟო კომისიამ, პირობები მიღებულია 6000 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 3500 ხმისა.

დანციგის პროცესი

ნაუენი. 14 ივლისი (რადიო) თავისუფალ ქალაქის დანციგის პრეზიდენტი ენერგიულ პროტესტს აცხადებს საფრანგეთ-პოლონეთის შეთანხმების შესახებ, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყვეს დანციგის გარდაქმნა პოლონეთის საზღვაო ბაზად.

საკითხი მორატორიუმის შესახებ.

ლიონი. 14 ივლისი (რადიო). შუამდგომლობა მორატორიუმის შესახებ, ფიშერისა და შრედერის მიერ ოფიციალურად შეტანილია საკონტრიბუციო კომისიაში. საკონტრიბუციო კომისია ხუთშაბათს გაეცნო წინასწარ პასუხს, რომლის საბოლოო რედაქცია მიენდო საფრანგეთის წარმომადგენელს დიუმეას.

აფეთქება მაღაროებში.

ნაუენი. 14 ივლისი (რადიო). მაღაროებში ბეხენის მახლობლად ბერლინ-ჰამბურგის რკინის გზის ხაზზე მოხდა ხელახალი აფეთქება. მოკლულია 9 და დაჭრილია 10 კაცი.

იძულებითი სესხი

ბორდო. 14 ივლისი (რადიო). დემოკრატ ფიშერის წინადადებით რეიხსტაგის საფინანსო კომისიამ მიიღო იძულებითი სესხის ციფრი 70 მილიარდი ქაღალდის მარკა. გაზ. „ფორვერსტი" პროტესტს აცხადებს ასეთი დადგენილების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ შეთანხმება მიღწეულ იქნა სესხის 1 მილიარდ ოქროს მარკით ე. ი. 100 მილიარდით (ქაღალდის) განსაზღვრის შესახებ.

კრიტიკული მდგომარეობა.

[illegible] ლიტიკური მდგომარეობა ბერლინში კრიტიკული ხდება. სოც. გადაჭრით განაცხადეს, რომ ისინი არ მისცემენ ხმას თავდაცვის კანონ-პროექტს, იმის გამო, რომ ბურჟუაზიულმა პარტიებმა შემდეგ შეიტანეს ამ კანონპროექტში თვისი შესწორებები. ებერტი საღამოზე მიემგზავრება ბერლინში, რაც იწვევს საერთო გაოცებას.

კოალიცია.

ბორდო. 14 ივლისი (რადიო). სოციალისტები მხარს უჭერენ მოთხოვნილებას მთავრობის კოალიციის გაფართოვების შესახებ, მის შემადგენლობაში დამოუკიდებლების შეყვანით. ბერლინში ფიქრობენ, რომ შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან: ან რეიხსტაგის გაშვება, ან მთავრობის რეორგანიზაცია.

ვირტის განზრახვა.

ბორდო. 14 ივლისი (რადიო). გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგის" განცხადებით, კანცლერ ვირტს განზრახული აქვს შეადგინოს კაბინეტი, მთავრობის ეხლანდელ წევრთა და ორ დამოუკიდებელთა შემადგენლობით; ერთ ერთი დამოუკიდებელი მიიღებს მინისტრის პორთფელს. ამის შემდეგ ვირტი დასვამს რეიხსტაგში საკითხს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ.

პირფერობა.

ბორდო. რეიხსტაგმა მეორედ წაკითხვის შემდეგ, მიიღო პროექტი ამნისტიის შესახებ და დადგენილება, რომელიც გულისხმობს ლმობიერების გამოჩენის „სურვილს" გაფიცულ რკინის გზელების მიმართ.

რატენაუს მოკვლის გამო.

ბორდო. 14 ივლისი (რადიო). რატენაუს ორივე მკვლელი იმყოფებიან ანგალტში. გერმანიის პოლიციამ დახურა ყოფილ სამთავროს საზღვრები.

მემაღაროები ესენში.

ბორდო. 14 ივლისი (რადიო). მოლაპარაკება მთავრობის და მემაღაროების შორის ესენში შეთანხმებით [illegible]

ესერების პროცესი

ტერორისტული მუშაობა ესერებისა

მოსკოვი. 15 ივლისი (რადიო). 14 ივლისის დილის სხდომაზე ტრიბუნალი შეუდგა პროცესის მთავარი პერიოდის განხილვას, ესერების ტერორისტული მოქმედების გამორკვევას. აქვეყნებენ ციტაცებს პარტიის მე 4 ყრილობის დადგენილებებიდან და გოცისა და ჩერნოვის წერილებიდან. გოცის წერილში ნათქვამია, რომ „აუცილებელია ძველ ნაცად ტაქტიკაზე გადასვლა". ამ ტაქტიკის შინაარს ააშკარავებს ბრალდებული რატნერის ქალი, რომელმაც მე-4 ყრილობაზე შეიტანა წინადადება, რომ თუ ბოლშევიკები მიმართავენ დასჯას, მაშინ ესერების პარტიამ უნდა დაიწყოს ტერორი. ამ მხრივ რატნერის ქალი ურჩევდა ყრილობას ემოქმედა ფრთხილად და ჯერ-ჯერობით შედგომოდა მხოლოდ მებრძოლი რაზმების მოწყობას.

პროკლამაცია

დამატებათ აქვეყნებენ კიდევ ერთ დოკუმენტს—პროკლამაციას, რომელიც მიმართულია სახალხო კომისართა საბჭოსადმი ესერების პარტიის ცეკასაგან, რომელშიც ცეკა აფრთხილებს სახალხო კომისართა საბჭოს, რომ იმ შემთხვევაში თუ დაპატიმრებულ ესერების პარტიის წევრებს მოელით რაიმე საფრთხე, მათი სიცოცხლის პასუხისმგებელნი იქნება სახალხო კომისართა საბჭო.

ეს განცხადება გაკეთებული იყო საბჭოთა ხელისუფლების იმ დადგენილების საპასუხოთ, რომლითაც ესერების პარტიის დაპატიმრებული წევრები ცხადდებოდენ მძევლებათ.

რას ამბობს გოცი.

ბრალდებულები რაგნერი და გოცი ამტკიცებენ, რომ პარტიის მე 4 ყრილობაზე არ ყოფილა დასმული საკითხი ტერორის შესახებ. როდესაც „ნაცად ტაქტიკაზე" გვქონდა ლაპარაკი, აქ მხედველობაში გვქონდა დამფუძნებელი კრების შეიარაღებული თავდაცვა, თუ კი საბჭოთა ხელისუფლება რაიმეს განიზრახავდა ამ ორგანოს წინააღმდეგ. ბრალდებული კონოპლიოვას ქალი აცხადებს, რომ მთელ რიგ კრებებსა და პარტიულ თათბირზე ტერორს უყურებდენ, როგორც დამფუძნებელი კრების დასაცავ იარაღს.

სახ. კომისართა საბჭოს მატარებლის დამსხვრევის განზრახვა.

სასამართლო გადადის სახალხო-კომისართა საბჭოს მატარებლის დამსხვრევის პირობების გამორკვევაზე. სემიონოვი აცხადებს, რომ მას [illegible] კომიტეტის წევრი ესტრონი და სთხოვა მას ეშოვნა ერთი ფუთი პიროქსილინი ძალიან დიდი საქმისთვის, რომელიც მას პარტიის ცეკამ მიანდო.

ბრალდებული კონოპლიოვას ქალი იძლევა ჩვენებას პეტროგრადის კომიტეტის ერთ ერთი სხდომის შესახებ, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი სახალხო კომისართა საბჭოს წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ. ეს გეგმა გამოიხატებოდა იმაში, რომ მოწყობილი უნდა ყოფილიყო სახალხო კომისართა საბჭოს მატარებლის დამსხვრევა, აფეთქების მოხდენა დაევალა ესტრონს რომელიც ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ცეკას წევრ გოცთან.

გოცი უარყოფს როგორც თავის, ისე ცეკას მონაწილეობას სახალხო კომისართა საბჭოს მატარებელზე თავდასხმის ორგანიზაციაში.

ბრალდებულ ივანოვის ჩვენება

პირველი ჯგუფის ბრალდებული ნიკოლოზ ივანოვი ამბობს, რომ მუშები უკმაყოფილონი იყვნენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ პეტროგრადის დატოვებით. ესერების პარტიულ მომუშავეთა წრეში დაიბადა აზრი არ გაეშვათ სახალხო კომისართა საბჭოს მატარებელი პეტროგრადიდან. წინასწარი გამოძიების დროს ივანოვმა განაცხადა, რომ ცეკას მიზანი იყო ან ლიანდაგის წახდენითა ანდა ორთქლმავალის აფეთქებით ხელი შეეშალათ სახალხო კომისართა საბჭოს პეტროგრადიდან მშვიდობიანი გამგზავრებისათვის. ამ აქტს უნდა ქონოდა მხოლოდ დემონსტრატიული ხასიათი. იგი ვერ განხორციელდა, რადგანაც საქმე სათანადოთ ვერ იქნა მომზადებული და სახალხო კომისართა საბჭოს მატარებელიც უფრო ადრე გაემგზავრა პეტროგრადიდან.

მიუხედავად კრილენკოს მითითებისა, რომ თვით ივანოვის სიტყვებიდან სჩანს, რომ განზრახული იყო მატარებლის დამსხვრევის მოწყობა ანდა ორთქლმავალის აფეთქება, ბრალდებული ივანოვი მაინც ამტკიცებს, რომ იმ მატარებლის აფეთქება, რომლითაც მიდიოდენ სახალხო კომისართა საბჭოს წევრები ან ლიანდაგის გაუქმება, იყო არა ტერორისტული აქტი, არამედ უბრალო დემონსტრაცია.

დამცველ ჩერნოვის სიტყვით აქვეყნებენ ივანოვის ჩვენებას, რომელშიც ნათქვამია, რომ პარტიის ცეკა წინააღმდეგი იყო ტერორისტული აქტებისა, მაგრამ პარტიის ზოგიერთ წევრებს წინადადება ეძლეოდათ მოეწყოთ ასეთი აქტები თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ; ამავე დროს ასეთ დამნაშავეებს პარტიიდან არ რიცხავდენ.

ტიმოფეევი თავის ჩვენებაში, ესერების პარტიის ტერორისადმი დამოკიდებულების შესახებ, ამბობს, რომ ცეკას პირველ სხდომაზე, სადაც წამოიჭრა საკითხი ტერორის შესახებ, ეს საკითხი დასვა ივანოვმა. ცეკამ სავსებით უარყო ამ საკითხის არსებითად განხილვა.

ამხ. ლენინზე თავდასხმის მოწყობა.

დილის სხდომის დასრულებისას კონოპლიოვას ქალი აცხადებს, რომ რაბინოვიჩი გაემგზავრა მოსკოვში, სადაც მან ცეკის ბიუროში დასვა საკითხი ლენინზე თავდასხმის მოწყობის შესახებ. დაბრუნებულმა რაბინოვიჩმა ჩამოიტანა ბიუროს თანხმობა და გვაცნობა, რომ ბიურომ თავდასხმის მოსაწყობად გამოყო პარტიის ცეკას წევრი რიცერი. მარტში კონოპლიოვას ქალი და ეფიმოვი ჩამოვიდენ მოსკოვში და მივიდენ რიხტერთან, რომელმაც მოუძებნა მათ ბინა ამ თავდასხმის მოსაწყობად. მაგრამ მან ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა და იშოვნა მხოლოდ „კურარეს" შხამი ტყვიების მოსაწამლავად. ლენინის თვალყურის დევნება მოაწყვეს თვით კონოპლიოვამ და ეფიმოვმა.

აპრილის დასაწყისში მოსკოვში ჩამოვიდა გოცი, რომელმაც ინახულა კონოპლიოვავს ქალი. კონოპლიოვამ შესჩივლა მას, რომ რიხტერი მათ არავითარ დიხმარებას არ უწევს. გოცმა უთხრა მას, რომ არ შეცვლილა მისი პრინციპიალური დამოკიდებულება ლენინზე თავდასხმის საკითხის შესახებ, მაგრამ იგი აფასებს რა მდგომარეობას აღიშნავს, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტი ხელიდან წასულია. ამიტომ მან წინადადება მისცა ამ საქმისათვის ლიკვიდაცია მოეხდინეთ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

დიახ, მაგრამ...

ბორდო. საკონტრიბუციო კომისია თავის პასუხში გერმანიისადმი სცნობს, რომ კონტრიბუციის გადახდა მართლაც გამოიწვევს მარკების კურ[illegible]. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ საფინანსო რეფორმების დაუყონებლივ გატარებას (?).

დჟერარის განცხადება.

ბორდო. ამერიკის პრესამ გამოაქვეყნა **ბერლინში ამერიკის ყოფილ ელჩის—დჟერარის განცხადება.**

დჟერარი იმედს გამოსთქვამს გერმანიის რესპუბლიკის სიმტკიცეში. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ იმ დროს როდესაც გერმანიის მწარმოებლები ფულებს აქუჩებენ, გერმანიის მუშები იტანჯებიან მძიმე მდგომარეობით. დჟერარის აზრით, გერმანიის ფინანსიური კრიზისი შექმნილია ხელოვნურად და წარმოადგენს მონარქისტების ერთ-ერთი ტაქტიკურ ნაბიჯს, [illegible] ამ გვარ ნაბიჯთაგანია. დჟერარი იწონებს საფრანგეთის მოქმედებას და აცხადებს: „მე რომ ფრანგი ვყოფილიყავი, წინაღუდგებოდი არმიის ყოველგვარ შემცირებას". აღნიშნულ საკითხში, არსებითად რაიმე ზომების მიღების შესახებ, საკონტრიბუციო კომისია მისცემს პასუხს, ალბათ 15 აგვისტომდე.

გარდენის მდგომარეობა.

ბორდო. მაქს გარდენის მდგომარეობა ამზადებს საშიშროებას.

ზემო სილეზია.

დაამთავრეს „მუშაობა".

ბორდო (რადიო). ელჩთა კონფერენციამ გაუშვა რა ზემო სილეზიის პლებისციტის კომისია, დაამთავრა თავისი მუშაობა.

ინგლისი.

საფინანსო რეფორმა.

კრაუდენი (რადიო). საფინანსო კანონპროექტი ამ ხანებში განიხილა თემთა პალატამ, რომელმაც შეიტანა მთელი რიგი შესწორებებისა. ხაზინის ლორდ კანცლერმა აღუთქვა პალატას, რომ რეფორმები გატარებული იქნება ახლო მომავალში.

ვერ თანხმდებიან.

ნაუენი (რადიო). ლონდონში, აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, მოელიან ახალ განხეთქილებას, საბერძნეთ-ოსმალეთის ზავის საკითხში იტალიის და საფრანგეთის ინგლისის საწინააღმდეგო ოპოზიციის გამო. ინგლისი იტოვებს მოქმედების სრულ უფლებას.

ირლანდიაში.

კრაუდენი. (რადიო). ირლანდიის დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა არმიის საბჭო და დანიშნა არმიის მთავარ სარდლათ მაიკელ-კოლლინზი. დაადგინეს შეაჩერონ რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს მუშაობა, სახელმწიფო კანონმდებლობის განხილვამდე.

ბორდო (რადიო). 15 ივლისისათვის დანიშნული ირლანდიის პარლამენტის სესია კიდევ გადაიდო სამი კვირით.

იტალია

კაბინეთის დეკლარაცია.

ხვალ ან ზეგ, რომში გაიმართება მინისტრების საბჭოს სხდომა.

შესაძლებელია, რომ სხდომის შემდეგ კაბინეთმა გააკეთოს დეკლარაცია ორთავე პალატაში.

მთავრობის კრიზისი პოლონეთში.

მოსკოვი. 13 ივლისი (რადიო). მთავრობის კრიზისი პოლონეთში გრძელდება. გაზ. „კურიერ პორანნი" იტყობინება, რომ სეიმმა კენჭისყრით მოახდინა თვითმკვლელობა, ტყუილად სცდილობს იგი შექმნას როგორიმე მთავრობა. ამ გადაწყვეტილ საკითხის შესახებ თავის მტვრევის მაგიერ, უკეთესი იქნებოდა მას ეფიქრნა დათხოვნის შესახებ.

გაზ. „ვეჩერნი კურიერი" იუწყება, რომ მემარჯვენეების კანდიტატი პრემიეროობის თანამდებობაზე არის კორფარტი ჯერ კიდევ არ არის მიღებული მისი თანხმობა.

საფრანგეთი და პოლონეთი.

ბორდო. 14 ივლისი (რადიო). ძალაში შევიდა საფრანგეთ პოლონეთის კომერციული ხელშეკრულება.

გერმანიის ვალები.

ბორდო. 14 (რადიო). „ტაიმსი" დღევანდელ მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ არსებობს დიადი მორალური განსხვავება მოკავშირეების ვალების, რომელიც ხმარდება თავდაცვის საერთო საქმეს, გერმანიის ვალებისაგან, რომლებიც წარმოადგენს ზარალის ანაზღაურებას, რაც გამოწვეულია გერმანიის მიერ.

აღმოსავლეთის საკითხი.

ბორდო. 14 ივლისი (რადიო). საფრანგეთის მთავრობამ გადასცა ინგლისის ელჩს საპასუხო მემორანდუმი ინგლისის უკანასკნელ ნოტაზე, აღმოსავლეთის კონფლიქტის შესახებ. „ტანის" ცნობებით, საფრანგეთის მთავრობა არ ეწინააღმდეგება კონფერენციის მოწვევას.

შანცერის გამგზავრება.

რომი. 14 ივლისი (რადიო) პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიამ შანცერის გამგზავრების შედეგების განხილვის შემდეგ აღიარა, რომ ამ გამგზავრებას ექნება სერიოზული მნიშვნელობა ინგლისის და იტალიის მომავალ ურთიერთობისათვის.

პალესტინა და ინგლისი.

რომი. 14 ივლისი (რადიო) თემთა პალატამ 210 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 60 ხმისა მოიწონა მთავრობის პოლიტიკა პალესტინაში.

საჰერო ფოსტა.

რომი. 14 ივლისი (რადიო). საჰერო ფოსტა პრაგის, პარიზის, ვენის და ბუდაპეშტის შუა დაიწყებს მუშაობას 16 ივლისს.

გრიფიუელი

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო). პარიზის მახლობლად გარდაიცვალა სინდიკალისტების ცნობილი წინამძღოლი გრიფიუელი, დაბადებიდან 47 წლის.

გერმანიის მარკის კურსი.

რომი. 14 ივლისი (რადიო). ინგლისის კაბინეთი იხილავდა გუშინ საკითხს გერმანიის მარკის კურსის დაცემის შესახებ, სთვლიან მოსალოდნელად, რომ ახლო დროში გერმანიისათვის დაწესებული იქნება მორატორუმი. იხილავენ საკითხს საერთაშორისო სესხის შესახებ.

რეისები შორეულ აღმოსავლეთში.

ნაუენი. 14 ივლისი (რადიო). სანაოსნო საზოგადოება „ჰუგო სტინნესი" 14 ოქტომბერს ხსნის შორეულ აღმოსავლეთის საზღვაო ხაზს. ამ დღეს ახალი საოკეანო გემი „გინდენბურგი" გავა სინგაპურაში, გონკონგში, შანხაიში და იოკოგამაში.

ინგლისის გემის დაჭერა.

ნაუენი 14 ივლისი (რადიო). საბერძნეთის სტატიონერმა შემოიყვანა პირეიში დაკავებული ინგლისის გემი სამხედრო მასალებით.

ჩინეთში.

ბორდო 14 ივლისი (რადიო). ინგლისის პრესის ცნობით, კანტონის რესპუბლიკის თავმჯდომარე სუნ-იანტოენი გარშემორტყმულია თავისი ფლოტით კანტონის მახლობლად.

სარეპარაციო გადასახადი.

ბორდო 14 ივლისი (რადიო). ბელგია და საფრანგეთი დაჟინებით ითხოვენ გერმანიისაგან 15 ივლისის გადასახადის შეტანას.

წრეგადასული ერთგულება

ცნობილია, რომ ბოლო დროს ჩვენში მოდად იქცა ლაპარაკი და წერა **ერთობაზე**, ყველაფრის **გაერთიანებაზე**. საქმე იქამდე მივიდა, რომ წინადადებას იძლევიან გააერთიანონ ის, რაც უკვე გაერთიანებულია, ოღონდ კი მოიხვეჭონ არქიკოსმოპოლიტის, ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტის სახელი.

ამასთან სრულიად არ უფიქრდებიან იმას, საჭიროა თუ არა ესა თუ ის გაერთიანება საქმის ინტერესებისათვის არსებულ პირობებში? მსჯელობენ მარტივად: ერთობა და გაერთიანება კარგი საქმეა, ამიტომ ზედმეტია ბევრი ლაპარაკი, მოდი გავაერთიანოთ, მორჩა და გათავდა.

რა თქმა უნდა, რომ ეს ერთობა, გაერთიანება კარგი და სასარგებლო რამ არის. ეს, გვგონია, საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ საჭიროა ვიცოდეთ, როგორ გავაერთიანოთ, როგორ შევქმნათ ნამდვილი, ჭეშმარიტი ერთობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ სწორედ სულ სხვა შედეგი, ვინემ ის, რომლისაკენ მივისწრაფით. ე. ი. ჩვენ გვექნება გაერთიანების მაგივრად განცალკევება.

და მაშინ მივიღებთ გაერთიანებას გაერთიანებისათვის, გაერთიანებას უსიცოცხლოს, მექანიკურს, რომელიც მოხვეულია გარედან, ერთი სიტყვით, გამოწვეულია ხელოვნურად.

საჭიროა ცხადად და გარკვევით განვაცხადოთ: ისინი, რომელნიც ცდილობენ ასეთი წესით გაერთიანებას, სჩადიან ძალიან მავნე საქმეს, ისინი ფრიად ცუდ სამსახურს უწევენ გაერთიანების საქმეს, არამც თუ არ აერთიანებენ მუშებს და გლეხებს, არამედ, პირიქით, სთიშავენ მათ, და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: შორს ასეთი „გამაერთიანებლებისაგან".

ასეთი აზრები დამებადა, როცა ვკითხულობდი „პრავდა გრუზიი"-ს № 382 ში წერილს სათაურით „**სამართლის და სასამართლოს გაერთიანება**", რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით: **ბ. ა.**

წერილი მოთავსებულია სადისკუსიო წესით, მაგრამ რედაქცია უკეთეს იზამდა, რომ ის სულ არ დაებეჭდა. მე არ ვიცი, ვინ იმალება ამ ინიციალებში, შეიძლება რომელიმე რკინის გზელი—„გამაერთიანებელი", ან რომელიმე შტატგარეშე დარჩენილი იურისტი, და იურისტი, ალბად, ფრიად ცუდი,—ამ გარემოებას არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგრამ საქმე ის არის, რომ „პრავდა გრუზია"-ში მოთავსებულ, ზემოხსენებულ წერილის ავტორს, ეტყობა, ოდნავადაც ვერ შეუთვისებია და ვერ გაუგია ანბანაც საბჭოთა კონსტიტუციის.

ავტორი ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა, რომლის ძალით მოხდა გაერთიანება ფინანსიურ და საგარეო პოლიტიკის და სხ. „მოითხოვს სამართლის ერთობას და ამ სამართლის დამცველ ორგანოს, ე. ი. სასამართლოს ერთობას". დებულება სავსებით სწორია, მაგრამ ბ. ა. ღია კარებს ეხეთქება, ვინაიდან ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში, როგორიც არიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, **ერთიანია** სამართალი და სასამართლო, რამდენადაც ისინი არსებობენ. ხოლო წერილის ავტორს ეჩვენება სულ წინააღმდეგი. „მოსახლეობის შერეულობის წყალობით,—ამბობს ის, კავშირის განუწყვეტელობის წყალობით—**უფლებათა ამგვარ შეჯახებას** სისტემატიურად ექნება ადგილი; ხოლო, რაც მთავარია, ამ შეჯახებათა დროს სხვადასხვა სასამართლოების მიერ სადაო საკითხები განსხვავებულად გადაიჭრებიან, ე. ი. ფაქტიურად ეკონომიურ ცხოვრებას არ ექნება ერთიანი მომწესრიგებელი ფაქტორი, ის არ იქნება დაცული **ერთნაირ ნორმებით** (?!), რის გამო ის თანდათან დასუსტდება, რადგან ბოლოს და ბოლოს ის აღმოჩნდება დაუცველი და უუფლებო". ამგვარად, ავტორის აზრით, გამოდის, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობენ განსხვავებული სამართალიც, განსხვავებული სასამართლოებიც, განსხვავებული ნორმებიც!

ასეთი უაზრობა შეიძლება სთქვას კაცმა, რომელსაც სრულიად არაფერი გაეგება საბჭოთა კონსტიტუციისა. ავტორი იბნევა ფრიად უბრალო საკითხებში. მას, მაგალითად, ვერ წარმოუდგენია რკინის გზის ერთიანი წესდების შექმნის დროს—როგორ გადაიჭრებიან არა სპეციფიური სარკინისგზო საკითხები, როგორც დასახიჩრება, გზით გადასაზიდ ნივთების დაკარგვა და საერთო ხასიათის საკითხები. თუ რამდენად სულ ვერ ერკვევა ბ. ა. საბჭოთა სტრუქტურაში და რამდენად უცხოა მისთვის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების პრინციპები, სჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: „მაგალითად, გზის (რკინის გზის) სხვა და სხვა ადგილას დადებულია მთელი რიგი ერთნაირი ხელშეკრულებები—და შეიძლება მოხდეს, რომ ყველა ეს ერთი და იგივე ხელშეკრულებები სხვა და სხვა რესპუბლიკებში გადაიჭრებიან განსხვავებულად, რაც ქმნის არევ-დარევას გზის საქმეებში. წამოიჭრება მთელი რიგი ძნელად გადასაწყვეტად საკითხები. დადებულია ხელშეკრულებები ერივანსა და ბაქოში შპალების დამზადებაზე, მეორე ხელშეკრულება დადებულია ნავთის მოწოდებაზე აზერბაიჯანის მიერ. რომელი რესპუბლიკის რომელი კანონით უნდა ხელმძღვანელობდეს გზა, რომელი სასამართლოების მიერ უნდა გადაიჭრას დავა"?

მე ვამბობ: ამ სტრიქონების ავტორი ან თვითონ გულუბრყვილოა, ან და მკითხველების გულუბრყვილობის იმედი აქვს. მართლაც, რკინის გზა განა ბავშვებისაგან შესდგება, რომლებმაც არ იციან, თუ ვისთან აქვთ საქმე? დავუშვათ დაუშვებელიც კი, რომ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებში სხვა და სხვანაირად გადაიჭრებიან სარკინისგზო საკითხები, ვარწმუნებ წერილის ავტორს, რომ ამისაგან მსოფლიო არ დაიღუპება და არავითარი გაუგებრობა და არევ დარევა არ შეიქმნება, მაგრამ რას იზამთ, თუ ავტორის თავში სუფევს უდიდესი გაუგებრობა და წინააღმდეგობა. როგორც ასეთი გაუგებრობის და წინააღმდეგობის მაგალითი, შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი. თავის წერილის დასაწყისში ავტორი ამბობს, რომ საკითხი იმ პირების დაქვემდებარების შესახებ ორ კანონმდებლობისადმი, რომელნიც ერთმანეთთან კომერციულ ურთიერთობაში შედიან, „**დღემდე არ არი გადაჭრილი დახავლეთში**". დ ამ ფაქტს ის საკმაო სწორად ხსნის იმ გარემოებით, რომ „იქ უხდებათ შეთანხმება სრულიად სხვა და სხვა და ეკონომიურად შეუკავშირებელ სახელმწიფოებს". იბადება კითხვა: განა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები სხვა და სხვა, ერთმანეთთან ეკონომიურად შეუკავშირებელი სახელმწიფოებია?

და როცა ბ. ა. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებს სამაგალითოდ უსახავს გერმანიას, შვეიცარიას და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებს, რომელთაც შემოიღეს „გაერთიანებული სასამართლო დ ერთიანი სამართალი" აქ პირდაპირ არ იცი, რაა უფრო გასაკვირი; ავტორის უვიცობა თუ თავხედობა!

კიდევ უფრო უაზრო და შეუსაბამობაა შემდეგ ადგილი ბ. ა-ს წერილში. „ძალაუნებურად იბადება კითხვა, ერთი და იმავე გზის მემანქანე, რომლის დაუდევრობის წყალობით მოხდა მატარებლის დამსხვრევა, მაგალითად სადგურ ფოილამდე, შეიძლება დასჯილ იქმნას დაპატიმრებით 5 წლამდე, ხოლო დამსხვრევის დროს ფოილის შემდეგ მარტო 2 წლამდე? რატომ შეიძლება ყალბი ბონების მბეჭდავი ბაქოში, მაგალითად დაისაჯოს დახვრეტით, ხოლო ასეთივეს მბეჭდავი ალექსანდროპოლში—მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით". პირველ ყოვლისა ამ სტრიქონების ავტორს უნდა გახსენებოდა, რომ ამიერ-კავკასიაში არსებობენ დამოუკიდებელი რესპუბლიკები—სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო და მარტო ერთი ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხელსაყრელობისათვის და მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სარკინისგზო დავათა გადასაჭრელად ისინი არ შეიძლება გაუქმებულ იქმნან და შემდეგ განა ერთი და იმავე რესპუბლიკის ფარგლებში, მაგალითად, საქართველოს ფარგლებში გორში, ქუთაისში, ფოთში და სხვაგან ერთი და იმავე ბოროტმოქმედებისათვის არ შეიძლება იქნეს გამოტანილი განსხვავებული განაჩენი ერთი და იმავე ნორმების საფუძველზე. ერთი და იგივე ტიპის სასამართლოების მიერ? არა მარტო შეიძლება გამოტანილ იქნას, არამედ უნდა იქნეს აუცილებლად გამოტანილი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სასამართლოები არ იქნებოდენ სასამართლოები, არამედ სრულებით სხვა რამე.

მაგრამ, სამწუხაროდ, არიან პირები, რომელნიც ვერ ხედავენ ასეთ განსხვავებას ვითარებასა და პირობებში. ერთი და იმავე რესპუბლიკის ფარგლებში, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან კარგად ხედავენ და ფრიად აზვიადებენ კიდეც ამ განსხვავებას, როდესაც მას ადგილი აქვს რესპუბლიკებ შორის. ასეთ პირებს კიდევ ბევრი რამ აკლია, არა მარტო იმისთვის, რომ ბ. ა—ს მსგავსად, წერონ წერილები პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში, არამედ იყვნენ საბჭოთა ხელის უფლების თანამშრომლებლად და მუშაკებად.

თავის პატარა წერილში ბ. ა—მ, როგორც დავინახეთ, გამოიჩინა საბჭოთა კონსტიტუციის პრინციპების სრული უცოდინარობა. მაგრამ ეს უცოდინარობა, გაუგებრობა პირდაპირ თავხედობაში გადადის, როცა ის გვერდს უვლის ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, თითქო წინასწარ აუქმებს მათ და წინადადებას იძლევა რესპუბლიკათა სასამართლოების გაერთიანების შესახებ.

ის ამბობს: „მაგრამ ეს საკითხი შეიქმნა მთელ რიგ მატერიალურ და პროცესუალ სამართლისა"), მისი სირთულის გამო, ცოტათ თუ ბევრად შორეულ მომავლის სახითხია. მაგრამ ადვილი იქნება ამ გაერთიანების პრაქტიკულად შექმნა **რესპუბლიკათა სასამართლოების გაერთიანების გზით რომელიც შეიძლება გატარებულ იქნას ფრიად უბრალოდ** (ოღონდაც!) **და მოკლე დროში** (სწრაფად და ერთბაშად!). სასამართლოები, უმთავრესად სახალხო სასამართლოები,—რომელნიც მოქმედებენ ცალკე რესპუბლიკებში,—ყველა ერთი ტიპისაა. მაგრამ ისინი, გაუერთიანებელნი, **ქმნიან განსხვავებულ პრაქტიკას**". რა საშინელებაა ყველა ამ უგონო „გამაერთიანებელთა" გამოფიტულ თავებისათვის! როგორ იარსებოს რკინის გზამ ასეთ „განსხვავებულ პრაქტიკის" დროს? მაგრამ ბ. ა. და მისი მსგავსნი ერთი წუთითაც არ ჩაფიქრებულან, რა თქმა უნდა, ბრეულ-ათას, მილიონ გლეხებსა და მუშებზე, რომელთათვის გასაგებია მათთვის ყოველმხრივ მახლობელი სასამართლო. მაგრამ, ბოლოს, ეს ხომ საბჭოთა სასამართლოა, ერთი და იმავე ტიპისა ყველა რესპუბლიკებში, და, როგორც ასეთი, ის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში არსებითად, თავისი სულით ერთიანია. და თუ არის განსხვავება, ეს გამომდინარეობს ყოფა ცხოვრების, ზნე ჩვეულების, კულტურის თავისებურებიდან, რის მოსპობა ზევიდან, მექანიკურად შეუძლებელია, ეს მოითხოვს დროს, სისტემატიურ და შეგნებულ მუშაობას და მოთმინებას. მაგრამ **ბ. ა—ს** არ სურს ცდა, მას არ ყოფნის მოთმინება. მას ეხლავე გამოაქვს თავის ულმობელი განაჩენი. ის ამბობს; რათა შევათანხმოთ და გავაერთიანოთ მათი მოქმედება, **უნდა მოვსპოთ 3 საკასაციო ინსტანცია თბილისსა, ბაქოსა და ერივანში და შევქმნათ ერთიანი ცენტრი, ერთიანი საკასაციო ინსტანცია**, რომელიც შექმნის სასამართლოების ერთნაირ პრაქტიკას ამიერ კავკასიაში". უბრალოდაა ნათქვამი და ცხადად ერთი კალმის მოსმით, ზედმეტი სიტყვების დაუხარჯავად, ავიღოთ და მოვსპოთ საკასაციო ინსტანციები ცალკე რესპუბლიკებში, არ შევეკითხოთ არც ამ რესპუბლიკების ხალხებს, არც მათი საკანონმდებლო ორგანოებს; რომელიც **ბ. ა—ს** და მისი მსგავსების ბრძანებით ჯერ კიდევ არ არიან მოსპობილნი,—დაუყონებლივ, სულ მოკლე დროში უნდა მოკეთდეს ეს, ვინაიდან ამას მოითხოვენ რკინის გზის ინტერესები სარკინისგზო დავათა გადაჭრის დროს. **ბ. ა—ს** ეს სურს ჩაიდინოს მხოლოდ იმისთვის, მათი აცილებაც იქნას არევ-დარევა, გაუგებრობა გზის საქმეებში. მაგრამ მას ოდნავადაც არ აინტერესებს ის საკითხი, თუ რა გაუგებრობას შექმნის მის მიერ წამოყენებული ღონისძიება. თვით რესპუბლიკებში გაცილებით უფრო გასაგები და ლოღიკური იქნებოდა, რომ **ბ. ა—ს** წინადადება მიეცა: პირდაპირ მოგვესპოს ეს რესპუბლიკები—სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველო, მათი ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებით და სახალხო კომისართა საბჭოებით. მაგრამ ის ჯერ-ჯერობით ამის წინადადებას არ იძლევა. სხვანაირად როგორ წარმოუდგენია მას, ცალკე დამოუკიდებელ რესპუბლიკების, მათი ცენტ. აღმ. კომიტეტების და სახ. კომ. საბჭოების დატოვების დროს, სასამართლო ინსტანციების ფორმალური გაერთიანება ამ რესპუბლიკებში? ეს მარტო ერთმა ალახმა უწყის.

მაგრამ **ბ. ა—ს** დასახელებული წერილი სიმპტომიურია. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც ჩაუცვამთ საბჭოთა „პლაშჩი", მაგრამ რომელთათვის ყველაფერი საბჭოთა უცხოა. ისინი იგონებენ სხვა და სხვა „გაერთიანებებს" არა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, არა მუშების და გლეხების ინტერესებისათვის, არამედ რაღაც სხვა მიზნებისათვის. თავის თავად **ბ. ა—ს** წერილი უაზროა, ის ვერ უძლებს მცირე კრიტიკასაც კი, ის მოკლებულია ყოველგვარ ლოღიკას და სავსეა წინააღმდეგობებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის გამოხატავს ზოგიერთი წრეების განწყობილებას და, მაშასადამე, **ბ. ა—ს** ყავს თავისი მომხრეები. მაგრამ ჩვენ ვაცხადებთ: დეე იყვნენ ეს ადამიანები ცოტა უფრო ფრთხილნი თავიანთ მოქმედებებში, ვინაიდან თავიანთი გაუფრთხილებლობით, თავიანთი უტაქტობით, რომ მეტი არ ვთქვათ, ისინი მხოლოდ აფუჭებენ ჩვენ საერთო საქმეს—საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობას.

ფ. მახარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლერა.

ბორდო. 14 ივლისი (რადიო) ბუქარესტში აღმოჩნდა აზიურ ხოლერის ხუთი შემთხვევა, რომელიც შემოტანილია სალდათების მიერ რუსეთის საზღვრებიდან.

რიგაში.

ბორდო 14 ივლისი (რადიო). ლატვიის მთავრობას განზრახული აქვს შეადგინოს ებრაელების საქმეთა განსაკუთრებული სამინისტრო.

ამსტერდამის ინტერნაციონალში.

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო). ბერლინიდან იტყობინებიან: ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურომ, რომლის სხდომა გაიმართა გუშინ ბერლინში, დაადგინა გამოქვეყნებულ იქნას მოწოდება, გერმანიის მუშებისათვის მხარის დაჭერის შესახებ რესპუბლიკისათვის ბრძოლაში.

ამსტერდამის ინტერნაციონალის მიერ მეორე და ვენის ინტერნაციონალების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის გამო, რომელიც ითათბირებს რეაქციის წინააღმდეგ პროლეტარიატის საომარ მოქმედების გაერთიანების შესახებ, გაზ. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს განზრახული აქვს საბოტაჟი ერთიან პროლეტარულ ფრონტისადმი საერთაშორისო მასშტაბით.

ირლანდიის ამბების გამო.

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო). დუბლინში და ბელფოსტში გავრცელებულია ხმები კორკის რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ.

უმაღლესი საბჭო.

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო) გაზ. „მორნინგი პოსტი“ იტყობინება, რომ ლოიდ ჯორჯმა წინადადება მისცა პუანკარეს დაუყოვნებლივ მოიწვიოს უმაღლეს საბჭოს სხდომა გერმანიის კრიზისის განსახილველად. პუანკარემ ამაზე უარი განაცხადა, სთვლის რა დღევანდელ კრიზისს გერმანიის შინაურ საქმედ.

გაზ. „ტაიმსი“ იტყობინება, რომ პუანკარე მზადაა განიხილოს გერმანიის პრობლემა ლოიდ-ჯორჯთან ერთად, მაგრამ არა საჯაროდ და არც უმაღლეს საბჭოს სხდომაზე.

ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვა.

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო). გაზ. „ტაიმსი“ მომხრეა გარდინგის თავმჯდომარეობით კონფერენციის მოწვევისა ვერსალის ხელშეკრულების გადასაშინჯავად.

თეთრგვარდიელთა შორის.

მოსკოვი. 14 ივლის (რადიო) რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთის პოლიცია პოლიცია ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს რუსეთის ყოფილ საელჩოს და კერენსკის პრეზიდენციის შენობიდან თეთრგვარდიელთა საგულისხმო დოკუმენტების გამტაცებელთა აღმოსაჩენად.

ანტანტა და ანგორა.

კონსტანტინოპოლი. გაზეთ „ბოსფორს“ მოყავს რეიტერის სააგენტოს ცნობა, რომ ანგორის მთავრობა ალბათ უარყოფს მოკავშირე სახელმწიფოთა წინადადებას მცირე აზიაში მომხდარი ამბების გამოძიების შესახებ. ანგორის მთავრობამ გაუგზავნა საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, შეერთებულ შტატებს, იაპონიას და ნეიტრალურ ქვეყნებს ნოტა, რომელშიც იგი პროტესტს აცხადებს საბერძნეთის ფლოტის მიერ კონსტანტინოპოლის ნავთსადგურის, როგორც საზღვაო ბაზით სარგებლობის წინააღმდეგ და მოაგონებს მათ, რომ 1921 წ. 13 მაისს მოკავშირეებმა გამოაცხადეს კონსტანტინოპოლისა და მის გარშემო მდებარე ზონის ნეიტრალიზაცია.

ინგლის იტალიის ურთიერთობა

რომი. გაზ. „იდეა ნაციონალი“ ეხება რა შანცერის მოლაპარაკებას ლონდონში, არკვევს იმ საკითხების სიას, რომელნიც უმთავრესად აინტერესებს ინგლისსა და იტალიას. საერთო ხასიათის საკითხებს აქვსთ ან საერთო-პოლიტიკური და ან ეკონომიური მნიშვნელობა. პირველი მათგანი ეხება ევროპის საკითხთა რიცხვს ხოლო მეორე კი კოლონიალურს. ეს არის საკითხი ნედლი მასალისა და ვალების შესახებ და განსაკუთრებით კი ევროპიული წონასწორობისა და კერძოთ ხმელთა შუა ზღვაზე და აღმოსავლეთში წონასწორობის შექმნის საკითხი.

კერძო ხასიათის საკითხები შემდეგია: საკითხი ეგვიპტეში კაპიტულაციის შესახებ, ეფიოპიაში შესვლა. ინგლისურ-სიონისტური მანდატი პალესტინაზე და საერთოდ აღმოსავლეთის მანდატების მთელი სისტემის გადასინჯვა. თვითეული ამ საკითხთაგანი საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გორის მაზრა.

წითელ ახალგაზრდობის კლუბი. სოფელ ხაშურში კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის რაიკომმა გახსნა წითელი ახალგაზრდობის კლუბი კარლ ლიბკნეხტის სახელობაზე.

ახალციხის მაზრა.

სახერხი ქარხანა.

აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩამოართვა ნაციონალიზაციით დიდი სახერხი ქარხანა, ყოფ. ათაბეგოვის, რომელიც მოთავსებულია 3 ვერსის მანძილზე ქალაქიდან. ქარხანა თავისი სიდიდით და ტეხნიკურ მოწყობილობით ითვლება მეორედ საქართველოში. ზოგიერთ ნაწილების (ხერხების ლვედების) უქონლობის გამო, ქარხანა ამ დრომდე არ მუშაობდა, ამ ჟამად შეძენილია თბილისიდან ყველა ნაწილები და ახლო მომავალში ქარხანა დაიწყებს მუშაობას. მასალები დასახერხად გადმოზიდულია მდინარეების საშუალებით, საკმაო რაოდენობით. პირველად განზრახულია დახერხონ ყუთების მასალები აღმასკომის ბაღების საჭიროებისათვის.

პოლიტიკური მუშაობა.

იაჩეიკების ენერგიული მუშაობით ახალციხის მაზრის სოფლებში ნაციონალისტური განწყობილება ჩაქრობილა. მდივნების თათბირმა აღნიშნა მცხოვრებლებში პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის ზრდა. განსაკუთრებით ეს მოსჩანს აწყურის რაიონში, სადაც განზრახულია გაიხსნას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სკოლა, თემის აღმასკომის ხარჯზე. იაჩეიკები დიდ დახმარებას უწევენ ბანდიტიზმთან ბრძოლას და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას ბანდიტების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

აფხაზეთი.

სურსათის კრიზისი. აფხაზეთის მაზრებში სურსათის კრიზისს უფრო საგრძნობლად განიცდის გაგრის მაზრა. ამ კრიზისის უმთავრესი მიზეზია სათეს მიწების სიმცირე. მშვიდობიან დროში გაგრა და მისი მაზრის ბევრი სოფლები სცხოვრობდნენ უმთავრესად თამბაქოს და ვენახის კულტურით, და ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ პურის თესვას, რომლის პროდუქტებს ისინი ღებულობდენ ღვინოზე და თამბაქოზე გადაცვლით. უკანასკნელ წლებში დაეცა გაგრის მნიშვნელობა, როგორც კურორტის, დაეცა მეღვინეობა და თამბაქოს წარმოება და რუსეთიდან მოტანაც შესწყდა. ახალ გაგრაში იყო შიმშილისაგან სიკვდილის რამოდენიმე შემთხვევა, ალანაძინის აღმოსკომი იტყობინება, რომ ნახევარი მოსახლეობა დამშეულია სასურსათო გადასახადის თავის დროზე აუკრეფლობის და გუდაუთის მაზრიდან ხორბლეულის გამოტანის აკრძალვის გამო სიმინდის უქონლობის გამო გადასახადს იხდიან ხორცით, რისთვისაც მიიკლეს უკანასკნელი პირუტყვი. შიმშილის საფრთხე მცხოვრებლებმა გაიგეს მხოლოდ უკანასკნელ ზაფხულში, როდესაც ამოიწურა მარაგი და შეწყდა შემოტანა გლეხები ენერგიულად შეუდგნენ თავისი შეცდომების გასწორებას. ნათესი ადგილები შარშანდელთან შედარებით გაფართოვდა და თითქმის ყველა ადგილები დათესილია სიმინდით, ხორბლით და ქერით. ასე მაგ. ახალ გაგრაში დათესილი ადგილები უდრის 179 დესიატინას, სოფ. ცივ წყაროში 426 დეს. სოფელ კოლხიდაში 215, ალახადში 581, სოფელ სომხურ კოლდახვარში 172 დეს. დაუთესელი ადგილები თითქმის არ არის.

მოსავალი. გაგრის მაზრის მინდვრების დასათესად სასახლო კომისართა საბჭომ გასცა სოფლელებისთვის 2000 ფუთი სიმინდი, სესხით დახმარების სახით, იმ ვალდებულებით, რომ მოსავლის შემდეგ გადაიხადონ ნასესხები რაოდენობა.

მიწის დამუშავება პრიმიტიული სახით სწარმოებს ადგილობრივად გაკეთებული გუთნებით და თარიღებით, რის გამო ჯეჯილში იზრდება მავნე ბალახები და მოსავალი საგრძნობლად მცირდება. გუთნები, ფარცხები და სხვა გაუმჯობესებული იარაღები არ მოიპოვება. როგორც აწეულის, ისე საგაზაფხულო თესლის ხორბალის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ეხლა დგება მოსავლის მოწევის დრო.

მაგრამ, ისე როგორც მიწის დამუშავებისას, მცხოვრებლები განიცდიან გაუმჯობესებულ იარაღების უქონლობას.

ეპიდემია. ივნისის უკანასკნელ კვირის განმავლობაში სოხუმში აღნუსხულია ხოლერის 4 შემთხვევა, პარტახტიანი სახადის 17, შებრუნებითის 2, დიზენტერიის 2, წითელას 4, ციმბირის ჭირის 2. ქალაქში ხოლერის მგზავს ავადმყოფობის გაჩენის გამო, ჯანმრთელობის დაცვის სახ. კომისარიატმა დაარსა საეპიდემიო რაზმი, რომელიც იმყოფება ქალაქის სანიტარული ექიმის განკარგულებაში.

საქართველოს ნავთსადგურებში—სოხუმის ნავთსადგურში მოვიდა მატორიან-იალქნიანი ხომალდი „მალვინა“ ოჩემჩირიდან 6,640 ფუთი სიმინდით კერძო პირების სახელზე: მატორიან იალქნიანი გემი „ორიონი“ სოჩიდან უტვირთოდ და წავიდა 2 ივლისს ოჩემჩირეში; ტუაფსედან მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „იუდიფ“ 458 ფუთი ფქვილით და ბენზინით; მოტორიან-იალქნიანი ხომ „კრომკა“ ტუაფსედან უტვირთოდ, ოსმალეთის იალქნიან ფელიუგა „ასლან“ რომელიც წავიდა ბათომში უტვირთოდ. 1 ივლისს წავიდა ბათომში ოსმალეთის იალქნიანი ფელიუგა „სელემეტი“ 123 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით.

წავიდა ბათომში ოსმალური იალქნიანი ხომალდი „შაინი“ უტვირთოდ; ტრაპიზონში—ოსმალური მოტ.-იალქ. ხომალდი „მიდილი“ 650 ფუთი ბენზინით; ოსმალეთის მოტ.-იალქნ. ხომალდი „ფუზაფერი“—ტრაპიზონში 370 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით; ოსმალეთის მოტ.-იალქნიანი ხომ. „ლიზიოტანი“ ნოვოროსისკში 500 ფუთი სიმინდით; ოსმალეთის მოტ.-იალქნიანი ხომ. „ლენა“ 2 პიანინოთი და 11 ნახევარი ფუთი მანუფაქტურით; ოსმალეთის იალქნიანი ფელიუგა „მერსლინი“ ოჩემჩირეში უტვირთოდ; ოსმალ. იალქნიანი ფელიუგა „ბერეგეკ-ზეფირ“ რიზეში უტვირთოდ; მოტ. იალქნიანი ხომალდი „როსია“ ტუაპსეში 500 ფ. სიმინდით; მოტ. იალქნ. ხომალდი „დელფინი“ სოჩაში 450 ფუთი სიმინდით; მოტ.-იალქნიანი გემი „გეროი“ ტუაფსეში 30 ფუთი სიმინდით; მოტ.-იალქნიანი ხომალდი „ორიტიასი“ კოდორში სიმინდის მისაღებად; მოტ. კატერი „რაბოტნიკ“ გაგრაში სამხედრო სასურსათო 30 ფუთი ტვირთით. 2 ივლისს მოვიდნენ: ოსმალეთის მოტორიან-იალქნიანი ხომალდი „ბერეჩეტ“ 4,337 ფუთი ტვირთით და იმავე დღეს წავიდა ბათომში: მოტორიანი კატერი „კაზბეკი“ ტუაფსედან უტვირთოდ. 2 ივლისს გაიარა ნავსადგურში ბათომიდან ოდესაში მიმავალმა გემმა „პესტოლი“ 865 ფუთი ტვირთით და წაიყვანა მგზავრები და 200 ფუთი ტვირთი; 2 ივლისს წავიდა ბათომში ხომალდი „ფიტი-რულეტ“ ოსმალური ფლაგით 46 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით.

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის შესახებ სპარსეთის აზერბეიჯანთან

(ნ. ბომინინთან საუბრიდან)

სპარსეთის აზერბეიჯანი, არდებილის და ასტარის რაიონებითურთ, რომელიც მდებარეობს ამიერ-კავკასიის სამხრეთის საზღვართან და რომელიც შეკავშირებულია მასთან და კერძოთ საქართველოსთან ტფილისი-ჯულფა-თავრიზის რკინის გზის ხაზით, წარმოადგენს მეტად საინტერესო მხარეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის, რომელნიც ამ ჟამად გაერთიანებულნი არიან მეურნეობისა და ვაჭრობის მხრივ, როგორც ბაზარს ჩვენი ფაბრიკატების და ნედლი მასალის გასაღებისათვის, ისე ამ რაიონში სასურსათო პროდუქტების და ნედლი მასალის დამზადების და იქიდან გატანის მხრივ. თუმცა სავაჭრო კავშირის მოწყობა სპარსეთის ამ პროვინციასთან ამ ჟამად არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, მაინც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ამ რაიონთან ურთიერთობის დამყარებას და ვაჭრობის გაცხოველებას, რომელიც ომამდე და ომის დროსთან შედარებით (1914—1917 წ.წ.) მნიშვნელოვნად დაეცა.

ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ სპარსეთის აზერბაიჯანი სავაჭრო ბრუნების იმავე პირობებშია, როგორშიაც სპარსეთი. შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრები, რომელიც ნათლად დაგვანახვებს რუსეთ-სპარსეთის შორის საექსპორტო საიმპორტო ოპერაციების შემცირებას და ამავე დროს ინგლისის მიერ თავის საქონლის იმპორტის გადიდებას, და სპარსეთიდან ინგლისში ექსპორტის გაძლიერებას. სპარსეთიდან რუსეთში საქონლის გატანის მაქსიმალური ციფრი იძლევა 1913—14 წლ., როდესაც გამოტანილი იყო საქონელი უმთავრესად, გამხმარი ხილი, ბრინჯი, ბამბა და ნოხები—302.060.039 კრანს.

ამის შემდეგ გატანას დაეტყო გამალებული შემცირება და 1920—21 წლ. დავიდა 8.614.431 კრანამდე. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 1919 წლიდან იმპორტის სურათი თვალსაჩინოთ ითვლება და 1919—20 წლ. უმთავრესი ადგილი სპარსეთის ექსპორტში უჭირავს ქაღალდის ქსოვილებს, ჩაის და სხვა საქონელს, რომელიც წინად შედიოდა რუსეთიდან სპარსეთში.

რუსეთიდან სპარსეთში შეტანილ საქონლის მაქსიმალური რიცხვი 1913—14 წლებში უდრიდა 355.888 133 კრ. ამავე დროს ინგლისი აძლიერებდა თავის საქონლის შეტანას, უმთავრესად ქსოვილებისას, შაქრისას, ჩაისას და სხვ, აიყვანა რა ეს იმპორტი 1919—20 წელში 448 578 684 კრანამდე; ხოლო ამავე დროს სპარსეთიდან გაიტანა 81.604.230 კრ. საქონელი (მაზუთი, ნავთი, ოპიუმი, ნოხები და სხვ.).

ამ ჟამად სპარსეთის აზერბაიჯანის ბაზარი ავსილია ინგლისის საქონლით, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მხოლოდ უფრო იაფფასიანმა მანუფაქტურამ (ამ გარემოებას რა თქმა უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება).

სპარსეთის აზერბეიჯანის ძირითად საექსპორტო საქონლად ითვლება: გამხმარი ხილი, საკლავი საქონელი, ხორცი, ნოხები, ტყავი, მატყლი, ნაწლავები და სხვა.

1910 წელს მხოლოდ ერთი ჯულფის საბაჟო საშუალებით შემოტანილია რუსეთში 1.148.412 ფ. გამხმარი ხილი. შემდეგი წლების ექსპორტი სპარსეთის ადერბეიჯანის ყველა საბაჟოების საშუალებით გამოიხატება შემდეგ ციფრებში (ათას ფუთი) 1914—15 წლ.—740 ფ., 1915—16 წელს—1402 ფ., 1916—17 წ.—1361 ფ., 1917—18 წლ. 358 ფ. და 1919 20 წ.წ., 212 ფ., 1917 წლიდან გატანის ასეთი თვალსაჩინო შემცირების მიზეზად, გარდა ომისა და ჯულფის რკინის გზის ხაზზე არეულობისა, უნდა ჩაითვალოს ურმიის რაიონის იზოლიაცია და წარმოების დაცემა საერთოდ, საქონლის გასაღების შეუძლებლობის გამო.

ამ ჟამად სპარსეთის ადერბეიჯანიდან შეიძლება გამოტანილ იქნეს დაახლოვებით 400 ათასი ფუთი გამხმარი ხილი.

აქედან პირველი ადგილი უჭირავს საბზას და ქიშმიშს, რომელიც მზადდება უმთავრესად მარგინის და ურმიის რაიონებში, ხოლო შემდეგ მიდის მინდალი, რომელიც წინად გამოქონდათ 40 ათას ფუთამდე, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში.

ამ საზღვარ გარეთის ბაზარზე მინდალის დიდი მოთხოვნილებაა, ვინაიდან სხვა პუნქტებიდან მათ სმირნიდან ეს საგანი აღარ მოდის.

საექსპორტო საქონლიდან ღირებულების მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს ნოხებს. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ცნობების მიხედვით, 1920 წელში გატანილი იყო სადგურ ჯულფიდან 65.560 ფ. უკანასკნელ წლებში ნოხების წარმოება რამოდენიმედ შემცირდა, მაგრამ ნოხების მარაგი სპარსეთის ადერბეიჯანში მაინც დიდია, და ეს საქონელი დიდი რაოდენობით მიდის ხოი ბაიაზეთის—ტრაპიზონის საქარავნო გზით. ასე მაგ. 1921 წლის პირველ ნახევარში გატანილი იყო 2 ნახ. მილ. კრონის მეტი ნოხი.

ცოცხალ საქონლის მოშენების პროდუქტებიდან, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ტყავის დამზადებას, რომელიც გაქონდათ უმთავრესად ტფილისში, ხოლო დაუმუშავებელი ცხვრის და თხის ტყავი, რომელიც წინად სრულებით არ გაჰქონდათ, მოიპოვება ძალიან დიდი რაოდენობით (ფასი 24 ფრან. ცალი). მატყლი შეიძლება შეგროვდეს ყველა რაიონებში 3—4 ათას ფუთამდე. ნაწლავები შეიძლება გატანილ იქნას 2 მილიონ ცალამდე.

ამ ჟამად მთელ ნაწლავებს ყიდულობენ ამერიკელი კომერსანტები. ბენგეულებიდან სპარსეთის აზერბეიჯანში მოიპოვება მელიას, კვერნას და სხვ. ტყავი.

მელიას ტყავი შეიძლება შეგროვდეს 500 ცალი (10—20 კრ.) კვერნის 1500 ც. (50—80 კრან. ც.).

შეიძლება აგრეთვე დამზადება გასაშავებელი კაკლისა, ტყავის წარმოებისათვის.

გადავდივართ რა სპარსეთის აზერბეიჯანის იმპორტის დახასიათებაზე უნდა აღვნიშნოთ, პირველ ყოვლისა ნავთი რომელიც არის მთავარი საიმპორტო საქონელი. ნავთი წინად შექონდათ სპარსეთში 400 ათას ფ. ამჟამად ურმიის რაიონის ობლიგაციისა და ღირებულების აწევის გამო, ნავთის მოთხოვნილება შემცირდა და გამოიხატება 150—200 ფუთში.

სპარსეთში ნავთის საერთოდ გავრცელებას ხელს უშლის ბიტონების უქონლობა, ურომლისოდაც ნავთის გადატანა, განსაკუთრებით დაშორებულ რაიონებში შეუძლებელია.

სპარსეთის აზერბეიჯანისათვის ნავთის მიწოდების საქმის მოსაწესრიგებლად, საჭიროა ჯულფაში გაიხსნას გზა და იქიდან ბიტონებით გაიგზავნოს ნავთი სხვა და სხვა რაიონებში.

შაქარი—არის სპარსეთის იმპორტის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი, ამ ჟამად შაქარი შედის სპარსეთში სამი გზით: ტრაპიზონი—თავრიზი, ბაღდადი ხამადან — თავრიზი, და ბათუმ—ტფილის—თავრიზის რკინის გზით.

დიდია აგრეთვე სპარსეთის აზერბეიჯანის მოთხოვნილება მანუფაქტურაზე, რომელიც დიდი რაოდენობით გაქონდათ წინად რუსეთიდან.

ეხლა იგი შეაქვთ ინგლისიდან, სხვა საიმპორტო საგნებიდან უნდა აღვნიშნოთ: ლიტონი, რკინის ფურცლები, ლურსმანი, ქაღალდი, საპონი, საღებავები და მინა.

მუშათა ცხოვრება

მიღება-დათხოვნის შესახებ.

(კითხვა-პასუხი)

კითხვა: რა წესით ხდება სამუშაოს მიღება და მუშა-მოსამსახურის დაქირავება.

პასუხი: მუშა-მოსამსახურეთა მიწვევა სამუშაოზე, ყველა წარმოება-დაწესებულებათა მიერ, განურჩევლათ კერძო თუ სახელმწიფო ხასიათისა, ხდება შრომის ბირჟის შემწეობით. ბირჟაში ეწერებიან ყველა უმუშევარნი და მოთხოვნილებისამებრ ისინი იგზავნებიან სამუშაოზე რიგის დაცვით.

კითხვა: ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის სავალდებულოა შრომის ბირჟის საშუალებით სამსახურის მიღება?

პასუხი: გამონაკლის შეადგენენ მხოლოდ სპეციალისტები და ის მოსამსახურენი, რომელნიც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იწვევიან, მაგრამ ისინი მიღების შემდეგ უნდა აღირიცხონ ბირჟაში.

კითხვა: როცა შრომის ბირჟაში ჩაწერილ უმუშევართა შორის არ მოიძებნება ისეთი კვალიფიკაციის მუშა მოსამსახურე, რომელიც ესაჭიროება წარმოება-დაწესებულებას?

პასუხი: ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ბირჟის გარედ დაქირავება, მაგრამ დამქირავებელი ვალდებულია თვითეული ასეთი დაქირავებულის ვინაობა დაუყონებლივ აცნობოს შრომის ბირჟას.

კითხვა: თუ ეს წესები დაირღვა და მუშა-მოსამსახურე მიღებული იქნა ბირჟის გარეშე?

პასუხი: პასუხისგებაში მიეცემა ადმინისტრაცია, როგორც შრომის კანონების დამრღვევი. ხოლო შრომის ბირჟის გარედ მიღებულნი მოხსნილნი იქნებიან სამუშაოდან და შეცვლილი ბირჟიდან გაგზავნილებით.

კითხვა: თუ ბირჟის მიერ გაგზავნილი არ აკმაყოფილებს წარმოება-დაწესებულებას?

პასუხი: ამ შემთხვევაში დამქირავებელს ნება აქვს სხვა მოითხოვოს.

როცა სამუშაოს ხანგრძლივი ხასიათი აქვს, დაბოლოებით ასეთ ადგილზე მიღებას წინ უძღვის გამოცდა შემდეგ ვადებში: მუშებისათვის ექვსი დღე, მოსამსახურისათვის (ნაკლებ საპასუხისმგებლო ადგილზე) ორი კვირა და საპასუხისმგებლოზე კი ერთი თვე თუ ამ ვადებში აღმოჩნდა, რომ მუშა-მოსამსახურე ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მუშაობას, ის იგზავნება უკანვე ბირჟაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, ის უნდა ჩაირიცხოს სამსახურში.

კითხვა: ხშირია ასეთი შემთხვევა, როცა მუშა მუშაობს ექვს დღეზე მეტს, თვეობით და წლეობით და მას დღიურათ თვლიან, როგორ უყურებს ამას შრომის კანონმდებლობა?

პასუხი: ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს, ვინაიდან დამქირავებელისათვის სასარგებლოა მუდმივი მომუშავის „დღიურათ“ მონათვლა. მუდმივ სარგებლობს ბევრი უფლებებით, მაგალითად ავათმყოფობისაგან დაზღვევა, შვებულების მიღება, დათხოვნის დროს სალიკვიდაციო მიღება და სხვა. დამქირავებელს კი ეხარჯება ამ ხარჯების გაწევა.

შრომის კანონმდებლობა ნათლად საზღვრავს დღიურს და მუდმივს; მუშისათვის ექვსი დღის და მოსამსახურისათვის ორი კვირის მუშაობა საკმარისია მათი მუდმივი ჩარიცხვისათვის. ამის დამრღვევნი პასუხს აგებენ.

კითხვა: როცა მუშა-მოსამსახურეს ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადასვლა უნდა და ადმინისტრაციაც თანახმა არის, უნდა დაეკითხოს თუ არა ბირჟას?

პასუხი: ამ შემთხვევაში საჭიროა შრომის ბირჟის ნებართვა.

კითხვა: რა დროს განმავლობაში შეიძლება დაქირავება გაგრძელდეს?

პასუხი: დაქირავება შეიძლება აქ განსაზღვრული ვადით, ა) განუსაზღვრელი ვადით ბ) და რაიმე სამუშაოს ასრულებამდე, რაც განსაზღვრული უნდა იყოს დაქირავების დროს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის სხვა შრომის პირობებთან ერთად. შრომის პირობების (ხელშეკრულების) დადება შეიძლება, როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერათ. სიტყვიერი ხელშეკრულების ყოველივე ნაწილი შეიძლება დამტკიცდეს მოწმეთა ჩვენებით.

კითხვა: ჩაითვლება თუ არა კანონიერათ ისეთი შრომის ხელშეკრულება, რომელიც არღვევს კანონებს და აუარესებს მშრომელის მდგომარეობას?

პასუხი: რასაკვირველია არ ჩაითვლება, ხშირათ შეხვდებოდით ასეთ მაგალითებს, როცა დამქირავებელი არდაგენს მუშის ხელწერილს, სადაც ნათქვამია, რომ მუშა „თავის ნებით“ ვალდებულათ ხდება იმუშაოს არა რვა საათი არამედ 10—12 საათი, არ მოითხოვს ჯამაგირის მომატებას და არაფერ პრეტენზიებს არ წარუდგენს მეპატრონეს.

ასეთ ხელწერილებს **არავითარი მნიშვნელობა არ აქვს**, თუმცა ზოგიერთ „ჭკუიანი“ იურისტები, რომელნიც მეპატრონეებს იცავენ მუშის წინააღმდეგ „დაგიმტკიცებენ“, რომ ეს კანონიერია.

ხ. გ—ძე.

(შემდეგი იქნება).

დამზღვევი კასა.

(კითხვა-პასუხი).

კითხვა: ვინ ითვლება დამზღვევ კასის წევრათ?

პასუხი—დამზღვევ კასის წევრად ითვლებიან გამოუკლებლივ ყველა მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც ეწევიან დაქირავებულ შრომას სახელმწიფო, გასახელმწიფოებრივებულ საკონცესიო, საზოგადოებების, კოოპერატივების, კერძო წარმოება-დაწესებულებებში და აგრეთვე ცალკე პირებთან (შინა მოსამსახურენი). ყველა აღნიშნული მშრომელთა კატეგორიები, მიუხედავათ მათი შრომის ხასიათისა და აგრეთვე წარმოებაში მუშაობის ხანგრძლივობისა, დაზღვეულათ ითვლებიან სამუშაოზე დაშვების პირველ დღიდანვე.

კითხვა: შეიძლება თუ არა დაზღვეული იყვნენ მუშათა დამზღვევ კასებში კერძო ხელოსნები და შინა მრეწველები, რომლებიც არ ეწევიან დაქირავებულ შრომის ექსპლუატაციას?

პასუხი—შეიძლება, თუ ისინი გამოთქვამენ თავიანთი სურვილს და ნება-ყოფლობით შემოიტანენ დამზღვევ კასაში სრულ საპროცენტო ანარიცხს თავიანთი შემოსავლიდან.

კითხვა: არის თუ არა დაზღვეული მილიცია და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი („ჩ. ნ“).

პასუხი—მილიცია და „ჩონის“ შემადგენლობა დაზღვეულია და სარგებლობს ყოველივე დახმარებით მუშა მოსამსახურეებთან თანასწორად.

კითხვა: შეუძლიათ თუ არა ისარგებლონ დამზღვევ კასის სახსრიდან წითელ არმიელებმა და მათმა ოჯახობა?

პასუხი—წითელ არმიელები და მათი ოჯახის წევრები დაზღვეულია განსაკუთრებულ დეკრეტით და მათ მზრუნველობას უწევს არა დამზღვევი კასა, არამედ სამხედრო კომისარიატი და „აღმასრულებელი კომიტეტები“.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება მუშას, ან მოსამსახურეს მიიღოს დახმარება კასიდან მაშინ როდესაც იმ დაწესებულება წარმოებათა მეპატრონეებს, სადაც ისინი მუშაობენ, არ შეუტანია მისი დასაზღვევათ საპროცენტო ანარიცხი?

პასუხი—მუშა მოსამსახურეს უსათუოდ აქვს სრული უფლება მიიღოს ასეთ შემთხვევაში დახმარება კასიდან, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში ისინი მოვალენი არიან თვალყური ადევნონ, რომ თავის დროზე შეჰქონდეს წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაცია—მეპატრონეებს (განსაკუთრებით კერძო მწარმოებლებს) ხვედრი საპროცენტო ანარიცხი. საჭიროა აგრეთვე მუშებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება, რომ მეპატრონეებმა არ დამალონ მათი რეალური სამუშაო ქირის რაოდენობა, რომელიც სისწორით უნდა იყოს ნაჩვენები იმ უწყებებში, რომლებიც ერდგინებათ.

როგორ სცემენ მოსამსახურეებს.

ს. პ. კ. ს კულტგანყოფილებაში მსახურებს მოსამსახურე ქალი დიარონა, ის წინათ მსახურობდა ვექილ ლომინაძესთან. ლომინაძესთან თავის დაწესების შემდეგ იქვე აიღო ოთახი და სცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს ლომინაძე შემოიჭრა ოთახში, სცემა ჯოხით, წაუჭირა კისერში ხელი და საბრალო მოსამსახურე ქალი სისხლით შეღება. მილიციამ ამას „დიდი ყურადღება“ მიაქცია ოქმი შეადგინა და ასეთი გმირობის ჩამდენი ვაჟბატონი ლომინაძე კი შინ გაუშვა. ეს საქმე გადაეცა მე-8 რაიონის სახალხო სასამართლოს. ასე ვიცით რა მოსაზრებით პირველ რაიონში მომხდარი საქმე მე 8 რაიონში გადავიდა. სასამართლომ ამ საქმეზე იქონია მსჯელობა და ასეთი საზიზღარ საქმის ჩამდენ ვაჟბატონ ლომინაძეს მხოლოდ 2 კვირით გამასწორებელ სახლში ჯდომა და 2 თვით ვექილობიდან მოხსნა მიუსაჯა.

დამსწრე.

მოუწყობელი ელექტრონის სადგური.

ელექტრონის სადგურის საქართველოს აქვს ერთი ელექტრონის სადგური ვერის დაღმართზე რესტორან „ამირანის“ ბაღის უკან. თუ არა სპეციალური გზის მაჩვენებლით, ძალიან ძნელია ამ სადგურის მონახვა. სადგური იმყოფება ყოვლად ანტისანიტარულ პირობებში. შენობა გაჭუჭყიანებულია და ტალახით სავსე კიბე არ ვარგა, საშინელი სიბნელეა. ერთი სიტყვით სადგურში არ არის დაცული არავითარი ტეხნიკური პირობები. შრომის ინსპექციის აზრით ტეხნიკურათ ასე მოუწყობელი სადგური მეორე არ არსებობს ტფილისში. სასურველია ქალაქის აღმასკომი ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას მიაპყრობდეს.

მუშა.

მოვლაა საჭირო.

მუშათა ცენტრალურ კლუბთან არის უდიდესი და უმშვენიერესი ბაღი. ბაღს სრულებით არა აქვს მოვლა, რის გამოც მას ველური მცენარეები მოერია. ამ გარამოებას ყურადღებას არ აქცევენ და ბილიარდების დადგმაზე კი დიდ შრომას ეწევიან. ასეთი მოუვლელობა თუ კიდევ გაგრძელდა ბაღი მალე მთლადაც მოიშლება და გაისათ უბაღოთ დავრჩებით. სასურველია კლუბის გამგეობა ამ გარემოებას ყურადღებას მიაპყრობდეს.

გ.

ქრონიკა

◆ **სახელმწიფო დახმარება გაჭირვებულებს.** მაისის და ივნისის განმავლობაში შრომის სახ. კომისარიატის სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ გაჭირვებულებს აღმოუჩინა დახმარება შემდეგი სახით.

◆ **შეღავათი.** გაცემულია მოწმობა ორ ორი თვითეულს, სამკურნალო გადასახადისაგან განთავისუფლების და ბინის ქირის შეღავათის შესახებ 714 პირზე.

◆ **პენსიები.** დაენიშნა 31 კაცს, აქედან 19 ყოფ. მასწავლებელია, 6 ყოფ. მუშა, 2 ყოფ. პარტიული ამხანაგი, 1 ყოფ. მოწყალების და. 1 ყოფილი მოლარე—ქალი, 1 სასამართლოს ყოფ. მოსამსახურე. მიეცა მათ 6.600 ათასი მანეთი.

◆ **ერთდროული დახმარება** მიეცა 46 პირს,—21.350 ათასი მან. აქედან სამგზავროდ 8 კაცს—8,900 ათასი მან. დასამარხავად 3 კაცს—1.500 ათასი მან. სამკურნალოდ 2 კაცს—450 ათასი მან. და საერთო საჭიროებისათვის 33 კაცს—10.500 ათასი მანეთი.

◆ **ბავშვთა სასადილოს შესანახად**, სადაც უსასყიდლოდ სადილობს 200 მუშების ბავშვი, გაცემულია 33 740 ათასი მან.

◆ **ტანთსაცმელი** ამერიკული კომისიის საშუალებით მიეცა 358 კაცს — 80.850 ათასი მანეთის აქედან უსასყიდლოდ 59 კაცს—14.200 ათას მან.

◆ **თბილისის ბაზარზე.** ამერიკულ ფქვილზე ფასი არ შეცვლილა. დაიკლო ხორბლის და ქერის ფასმა. ბიაზი ბაზარზე ცოტაა, მაგრამ ფასი დიდი აქვს. რუსეთის მანუფაქტურიდან დიდი მოთხოვნილება აქვს სელის ტილოს; ბევრია პარუსინა და ბამბის საქონელი. გაიზარდა მოთხოვნილება რკინის საქონელზე. ბაზარზეა: ლაფატკები 2.000 ცალი,—ფასი 55 ათასი (ცალი), გაფასული ბაწარი, ფოლადის ნაჭრები, რკინა 900 ფუთამდე,—სხვადასხვა ზომისა 300 ათას მან. ფუთი. ლურსმანი 5—6 დიუმიანი 900 ფუთამდე—150 ათას მან. ფუთი გამომწვარი მავთული 500 ფ.—350 ათასი მან ფუთი, ფოლადი (სამიმეოთხედი—1 დიუმ.) 200 ფუთ. 700 ათას მან. ფუთი.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზ. გუშინდელ ნომერში მოთავსებულ კომ. ახალგაზრდობის ფურცელში კორექტურული შეცდომით გავიდა:

ინსტრუქციები და ცირკულიარები ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტების (**კავშიურობ** საორგანიზაციო აპარატის შესახებ). ხაზგასმულ სიტყვის მაგიერ უნდა იყოს: **კავშირის** და სხვ.

საქართველოს წითელ ლაშქარში

ცნობები მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო სასწავლებლებში (საკომანდო შედგენილობის კურსები და სკოლები) შემსვლელთათვის და დანიშნულთათვის.

I

საერთო პირობები სამხედრო სასწავლებელში (რომელი ტიპისაც არ უნდა იყოს) შემსვლელთათვის შემდეგია:

1. შესაბამობა პოლიტიკურის მდგომარეობის მიხედვით, რომელსაც საზღვრავს სამანდატო (მიმღები) კომისია—იქონიებს რა მსჯელობა.

ა) კლასიური მდგომარეობაზე: დაუბრკოლებლივ შეუძლიათ შესვლა მხოლოდ მუშებსა და მშრომელ გლეხობას (რომ, სათანადო ცოდნის უქონლობა, რომელიც მუშებსა და გლეხებს კაპიტალისტური რეჟიმის პირობებში არ შეეძლოთ მიეღოთ, ნაკლებად აბრკოლებდეს მათ კურსებზე შესვლას, ამ უკანასკნელებთან გახსნილია სპეციალური მოსამზადებელი განყოფილებანი).

ყოფილი პრივილეგიურ წოდებათა წევრები და ის პირები, რომელნიც ცხოვრობენ არა მათი პირადი შრომით ნაშოვნი სახსარით, როგორც წესი, მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო-სასწავლებლებში არ შეიძლება მიღებულ იქნენ.

ბ) პარტიული რწმენაზე: რუსეთის კომპარტიის წევრები არიან ყველაზე უფრო სასურველი კანდიდატები.

გ) პოლიტიკური შეგნების ხარისხზე, რომელიც ირკვევა მიღების მსურველთან ბაასით.

დ) სამსახურისა და საომარი სტაჟზე, ე. ი. საბჭოთა სამსახურზე, წითელ არმიაში სამსახურზე და სად მიმდინარეობდა ეს სამსახური, სამწყობრო ნაწილებში, თუ ზურგის ნაწილებში, მონაწილეობას იღებდა ომში თუ არა და სხ.

ე) იაჩეიკის კომისარის ან სხვ. წარმოდგენილ რეკომენდაციით, ზემოაღნიშნული ამა თუ იმ ცნობების მიხედვით (რაც სავსებით უნდა იქნეს დამტკიცებული) სწყდება საკითხი თვით შესაბამობისა პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით.

2. სათანადო ფიზიკური მდგომარეობა, ე. ი. წლოვანებისა და ჯანმრთელობის მიხედვით:

ა) იშვიათი გამონაკლისის გარდა მიიღებიან პირები 18—35 წლოვანებისა.

ბ) სამწყობრო სამსახურისათვის სავსებით გამოსადეგნი და ჯანმრთელნი, გარდა სამხედრო სამეურნეო კურსებისა, სადაც მიიღებიან სამწყობრო სამსახურისათვის გამოუსადეგარნი, მედიკური შემოწმება ხდება კურსებზედვე, მიღების დროს.

3. წერა-კითხვის სავსებით უცოდინარნი, ან და მისი ნაკლებათ მცოდნენი არ შეიძლება მიღებულ იქნენ კურსებზე.

II

ქვეითა, ტყვიისმფრქვეველ და ცხენოსანთა კურსებზე მიიღებიან პირნი პირველდაწყებითი განათლებით, რომელთაც იციან კითხვა და წერა, შეუძლიათ გამოსთქვან ზეპირად და წერილობით წაკითხული აზრი და იციან არითმეტიკული ოთხი მოქმედება (მიმატება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა) მთლიან ციფრებზე. ასეთი განათლების მატარებელი შედიან მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც ისინი წინასწარ გამოდიან საერთო განათლების კურს, ხოლო შემდეგ კი ისინი გადაჰყავთ სპეციალურ განყოფილებაში, საერთოდ კურსებზე მიიღებიან ის პირები, რომელთაც გაიარეს სამსახურის რიგებში. სათანადო სხვადასხვა შეიარაღებისა. ცხენოსან კურსებზე მიიღებიან მხოლოდ ცხენოსნები.

სამხედრო სამეურნეო კურსებზე მიიღებიან მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრთელობის მიხედვით სამწყობრო სამსახურისათვის გამოუსადეგარნი. მიღების ვადები განუსაზღვრელია.

III.

საარტილერიო და საინჟინრო კურსებზე მიიღებიან ის პირები, რომელთაც აქვთ უმაღლეს პირველ დაწყებითი განათლება მაინც (გიმნაზიის 4 კლასის მაინც).

ასეთ განათლებით აღჭურვილნი მიიღებიან მოსამზადებელ განყოფილებაში, სადაც ისინი გადიან საერთო განათლების კურსს, ხოლო შემდეგ გადადიან სპეციალურ განყოფილებაში. იმავ კურსებზე საშუალო განათლებით აღჭურვილი პირები (მაგალითად, რომელთაც გათავებული აქვთ მე 2 საფეხურის სკოლა) უშუალოდ მიიღებიან სპეციალურ განყოფილებაში. საარტილერიო კურსების მოსამზადებელ განყოფილებაში მიიღებიან მხოლოდ არტილერისტები. მიღების ვადები განუსაზღვრელია.

მასალები „წითელი კურსანტის" დღისათვის.

თეზისები აგიტატორებისათვის.

1. აგვისტოში და სექტემბერში სამხედრო სასწავლებლები უშვებენ დიდ რიცხვს წითელ კომანდირებისას, რის გამოც იქ მოხდება კომპლექტის საგრძნობლად შემცირება.

2. საბჭოთა რესპუბლიკის მტკიცე მდგომარეობა (სიმშილის კრიზისის შემცირება, კარგი მოსავლის იმედის გამო), და აქედან გამომდინარე საერთაშორისო ავტორიტეტის გაძლიერება, ქმნიან შესაძლებლობას გარკვეულ მუშაობისას ქვეყნის მშვიდობიანი მდგომარეობის დროს, ხოლო ეს უკანასკნელი კი გვიკარნახებს არმიის თანდათანობით შემცირებას და მისი კადრებიდან რაც შეიძლება მეტი მუშებისა და გლეხობის განთავისუფლებას მშვიდობიანი მუშაობის საწარმოებლად.

3. მაგრამ, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩვენი თავი სავსებით უზრუნველყოფილად რაიმე თავდასხმათაგან და ამიტომ ჯარების შემცირების გამო იგი გაძლიერებული უნდა იქნეს თავისი თვისებით, როგორც საომარი მომზადების, ისე კლასიური შეგნების მხრივ.

4. საკომანდო შედგენილობამ ამ მხრივ უნდა მიიქციოს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება. არის რა მარტო სამხედრო ხელმძღვანელი, არამედ უახლოესი და უშუალო აღმზრდელი წითელ არმიელისა, კომანდირი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნილებას, რომელიც წარდგენილი აქვს მას, როგორც აქტიურ წევრს ინტერნაციონალის არმიისას.

5. შემცირებულ არმიას შეუძლია არ დაკარგოს თვისი საომარი ღირსება საერთოდ—და ინდივიდუალური მომზადება ცალკე თვითეული წითელი მეომრისა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევძლებთ მისი რიგების შევსებას კარგად მომზადებული წითელი კომანდირების კადრით, უმთავრესად მუშებისა და გლეხობისაგან; ამ უკანასკნელი გარემოებით ჩვენ შევძლებთ არმიის კლასიური შეგნების გაღრმავებას. თუ ჩვენი საკომანდო შედგენილობა მრავალ რიცხოვანია და კარგად მომზადებული, იგი შეძლებს მიაღწევინოს არმიას გამარჯვებამდე მცირედი დანაკლისით. თუ იგი მშრომელთა კლასის რიგებიდან არის გამოსული, მაშინ უზრუნველყოფილია არმიის რევოლიუციონერობა, მისი განუწყვეტელი კავშირი მშრომელ მასებთან და ერთეულება კაპიტალიზმიდან განთავისუფლების იდეის სამსახურისა.

6. სამხედრო-სასწავლებლები თანდათან გადადიან მშვიდობიან მდგომარეობაზე: აქ იღებენ სწორედ და მეთოდიურ სამხედრო სწავლებას, კარგად დაყენებულ შესწავლას საერთო-განათლების საგნებისას, გაუმჯობესებულ საშუალებებს პოლიტიკურ-განათლების მუშაობისას და ეს კი საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ მომავალში არა მარტო სამხედრო სპეცი—კომანდირი, არამედ მოქალაქე, რომელიც სავსებით შეეგუება საბჭოთა აღმშენებლობის მშვიდობიან თანამშრომლობას. ცოდნის რაოდენობა, რომელსაც იძლევა სამხედრო სასწავლებელი, უხსნის მათ ფართოდ გზას შემდეგი, როგორც სპეციალური, ისე საზოგადო განათლების მისაღებათ.

7. კურსანტებისა და მათი ოჯახების მატერიალურად უზრუნველყოფა არის საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. მოითხოვს რა წითელ კომანდირისაგან ძალღონისა და ენერგიის მაქსიმუმის დახარჯვას, რესპუბლიკა იმავ დროს არ ივიწყებს კურსანტისა და კომანდირის პირად და ოჯახური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

8. სამხედრო-სასწავლებლების შევსებისათვის ზრუნვა-მეცადინეობა არ არის შემთხვევითი და ერთდროული მათი მომავალი თანდათანობითი შევსება უნდა ხდებოდეს პარტიის წევრთა რიგებიდან, პროფ-კავშირებთაგან, ახალგაზრდობის კავშირისაგან და უღარიბესი გლეხობიდან. ამიტომ ღრმად შეთვისება სამხედრო სწავლების აუცილებლობის და მისი მშრომელი მასებიდან შევსების იდეისა, შეადგენს ჩვენ მორიგ მიზანს.

9. თანდათანობით და განუწყვეტლად შევიყვანთ რა კურსებზე ახალ და ახალ კადრს, საბჭოთა ფედერაციის მუშები და გლეხები, შეძლებენ წითელი არმიის სავსებით განმტკიცებას და დარწმუნდებიან იმაში, რომ რევოლიუციის საქმე გამარჯვებით იქნება დაგვირგვინებული.

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის საუკეთესო რიგებს წითელ კომანდირებს

გაუმარჯოს, არმიის მომავალ ხელმძღვანელს წითელ კურსანტს.

მშრომელთ ახალგაზრდობავ კურსებზე და იქიდან კი გამარჯვებისაკენ.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

სასურსათო გადასახადის კომპანია

საქართველოს მაზრებში უკვე შეუდგნენ წინასწარ მუშაობას 1922—1923 წ. სასოფლო სამეურნეო წლის სასურსათო გადასახადის შესაგროვებლად. არა ოფიციალურ ცნობებით რომელიც სახალხო სასურსათო კომისარიატს აქვს მიღებული, სამაზრო სასურსათო სამეულები უკვე დაარსებულია ყველგან. ნატურ გადასახადის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით სახალხო სასურსათო კომისარიატმა უკვე ორ კვირაზე მეტია ყველა თავისი რევიზორ-ინსტრუქტორები დაგზავნა მაზრებში, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ წინასწარ საორგანიზაციო მუშაობაში.

ოფიციალური დოკუმენტარული ცნობები სახალხო სასურსათო კომისარიატს მიღებული აქვს მხოლოდ ზოგიერთ მაზრიდან. აი ეს ცნობებიც.

ახალციხის მაზრა.

სამაზრო სასურსათო სამეული უკვე დაარსდა. სამეულის შემადგენლობა ასეთია: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაღრაძე (თავმჯდომარე), სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. კუზნეცოვი (თავმჯდომარის მოადგილე) და კომპარტიის მდივანი ამხ. არუტინოვი.

სამეულს პირველი სხდომა ჰქონდა ივნისის 3-ს და ამ სხდომაზე შეიმუშავა თავის მოქმედების გეგმა. ამას გარდა განსაზღვრა ის ეკვივალენტი, რომლითაც შეიძლება შეცვლა ერთის ფუთის ხორბლისა ამ მაზრაში. სამეულის დადგენილებით ერთი ფუთი ხორბლის ეკვივალენტია: ქერი 1 ნახევარი ფუთი, ქერდიკა—1 ფ. 10 გირ., კარტოფილი—5 ფ., ერბო—6 გირვ., კარაქი—8 გირვ., ხორცი—15 გ., საქონელი—30 გ., საქართველოს ბონები—200.000 მან.

სამეული პირველი სხდომის შემდეგვე შეუდგა მუშაობას გადასახადის გასანაწილებლად თემებზე, რისთვისაც მოიწვია წარმომადგენელნი: სადგილ-მამულო, სასტატისტიკო, საგადასახადო და საფინანსო განყოფილებებისა, აგრეთვე საქმის მცოდნე სხვა პირნი.

სიღნაღის მაზრა.

სამეულის შემადგენლობა: ს. თავდიშვილი, გ. მირიანაშვილი და ვ. ბაბალაშვილი. სამეულის მუშაობა გაცხოველებით სწარმოებს. ფუთ ხორბლის ეკვივალენტი სამეულმა განსაზღვრა: სიმინდი—2 ფ., ქერი—2 ფ., ფეტვი—3 ფ., მზის უმზირა—2 ფ. სუფთა მატყლის—10 გირვანქა და ლობიო—1 ფ. 10 გ.

თელავის მაზრა.

ერთ ფუთ ხორბლის ეკვივალენტი: სიმინდი—1 ნახევარი ფ., ქერი—1 ნახევარი ფ., კარტოფილი—4 ფუთი, ღვინო—2 ვედრო, ლობიო—1 ფ. 10 გ., ერბო—4 გ., და მატყლი—10 გ.

ბორჩალოს მაზრა

სამეული დაარსდა ივლისის 5 ს. შემადგენლობა: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შაბანი, პარტკომის მდივანი—ამხ. ამაზი და სამაზრო სასურსათო კომისარის მოადგილე ამხ. მაქსიმოვი. ფუთი ხორბლის ეკვივალენტი ასე განსაზღვრა სამეულმა: ქერი—2 ფ., სიმინდი—2 ფ., ერბო—6 გ, შვეიცარული ყველი—6 გ., გაურეცხავი მატყლი—15 გ., ღვინო—4 ვედრო და ფული—400.000 მან.

ივლისის 7-სთვის მიღებული ცნობებით ნატურ-გადასახადის წინასწარი მუშაობა შემდეგს მდგომარეობაში: გამოანგარიშებულია თვითეულ სოფელში სახნავების საერთო სივრცე, დათესილ მიწების სივრცე, მუშა და მოცად საქონლის რაოდენობა; შეკრებილია ცნობები სეტყვისაგან მ ყენებულ ზარალის შესახებ. მუშაობა ცოტა არ იყოს ფერხდება იმის გამო, რომ ჯერ არ არის მოსული ცნობები მოსავლის შესახებ. ეს ცნობები ჩქარაა მოსალოდნელი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოსავალი მთელს მაზრაში კარგია, მხოლოდ მის მოკრებას ხელს უშლის გამუდმებული დიდი წვიმები, რომელსაც ხშირათ დიდი ნიაღვარი მოსდევს.

სოფ. მევახშეთა წინააღმდეგ

რადგანაც ფართო ხასიათი ეძლევა ჩარჩების მიერ დამშეულ გლეხების ექსპლოატაციას სათესლე მასალის სესხად გაცემისა და ვალდებულობის ბარათების ჩამორთმევის დროს, რომელშიაც რამდენჯერმე გადიდებული ნამდვილად აღებული სესხი, ამიტომ სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს შინაგან საქმეთა კომისარის ამხ. ა. გეგეჭკორისა და სახალხო სასურსათო კომისარის ამხ. ა. ერქომაიშვილის ხელის მოწერით საგანგებო განკარგულება დაეგზავნათ, რომლითაც ევალებათ, გააუქმონ ზემოხსენებული ჩარჩული ბარათები და ნება დართონ გლეხებს, იმდენი დაუბრუნონ სათესლე მასალის ვალში, რომ იგი არ აღემატებოდეს სესხათ აღებულ მარცვლეულობის დაწესებულ კანონიერს ნორმას. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ნიადაგზე შეუძლებელ გლეხებსა და ჩარჩებს შორის უთანხმოება მოხდება, უკანასკნელნი სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი მევახშეობისთვის.

ამასთან ერთად სახალხო სასურსათო კომისარიატმა შეიმუშავა და სასწრაფოდ წარუდგინა დასამტკიცებლად საქართველოს ცენტრ. აღმასკ. კომიტეტს და სახ. კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა ზემოხსენებულ მევახშურ პირობათა გაუქმების წესის შესახებ. ამ პროექტით პირობა აუცილებლად გაუქმებულ უნდა იქმნას, თუ სესხის გამღები მოვალისაგან 25 პროცენტზე მეტს იღებს იმ ხორბალსა და სიმინდზე, რომელიც სესხად არის გაცემული. თუ სესხის გამღები მაინც მოითხოვს ჩარჩულ პირობის შესრულებას, ან შეასრულებინებს, მაშინ იგი სამართალში უნდა იქმნეს მიცემული, როგორც მევახშე. ვალის ამღებს უფლება აქვს, თვითონაც მიმართოს სასამართლოს და ჩარჩულ პირობის გაუქმება მოითხოვოს. ადგილობრივი აღმასკომები მოვალენი არიან, რომ ფართოდ გააცნონ დადგენილების შინაარსი სამის დღის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების მიღებისა.

პარტიული ცხოვრება

ამხ. კამო

15 ივლისს ღამით დაიღუპა თვალსაჩინო პარტიული ამხანაგი კამო პეტროსიანი.

14 ივლისს, საღამოს 9 ს.—11 საათამდე გარდაცვალებული იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარის ამხ. ატარბეკოვის ბინაზე, საიდანაც ის ველოსიპედით გაემგზავრა ბინისაკენ. ვერის დაღმართზე ხიდისაკენ მოხვეულში, კამოს ველოსიპედი დაეჯახა ცალიერ ავტომობილს, რომელმაც იგი გადაისროლა ველოსიპედიდან ქვაფენილზე.

დავარდნა ისეთი ძლიერი იყო, რომ ამხ. კამო იმწამსვე ჩავარდა უგონო მდგომარეობაში, რომლიდანაც გარდაცვალებამდე, რომელიც მოჰყვა 2 საათის შემდეგ, განსვენებული ვეღარ გამოვიდა.

მილიციის თანამშრომლებმა დაღუპული ამხანაგი იმავე ავტომობილით წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, ხოლო შოფერი დააპატიმრეს.

სექიმო გასინჯვამ აღმოაჩინა, მარჯვენა ნათხემის ძვლის უკანა ნაწილის მძლავრი დაზიანება, კანის ჭრილობა 4—5 სანტიმეტრზე და ტანქვეშა ნაწილების ჰემოტომა. გარდა ამისა დაზიანებია მუხლი. გარდაცვალების უკანასკნელ წუთამდე, რომელიც მოჰყვა ღამის 1 ნახ. საათზე, ავადმყოფს ემჩნეოდა მძიმე გახშირებული სუნთქვა და მოყრუებული გულის ცემა. დაჯახების ადგილზე და საავადმყოფოში მივიდენ მილიციის, და აღმასრულებელ კომიტეტის თანამშრომელნი და ამხ. კოტე ცინცაძე.

მიცვალებულის გვამი ამ ჟამად დასვენებულია მიხეილის საავადმყოფოში.

წარმოებითი პროფკავშირებში

მბეჭდავთა შორის

სრულიათ საქართველოს მეორე ყრილობისათვის (რომელიც იხსნება 15 ივლისს) დელეგატების ასარჩევად 13 ივლისს საღამოს 7 საათზე მუშათა დიდ დარბაზში შესდგა თბილისის მბეჭდავთა საზოგადო კრება ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით. საერთაშორისო მდგომარეობისა და გერმანიის უკანასკნელი ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ელიავამ. შემდეგ მოხსენებები გააკეთეს: ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ ვ. ბერბერაშვილმა, პოლიგრაფიული განყოფილების მუშაობის შესახებ ამხ. ტ. ხარაზიანმა. სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. ვართანოვმა კომისიის სახელით კრებას მოახსენა, რომ მუშაობა ცენტრალური გამგეობისა უნდა ჩაითვალოს სრულიად დამაკმაყოფილებლადო.

კრებამ მოიწონა როგორც გამგეობის, ისე პოლიგრაფიული განყოფილების მუშაობა. შემდეგ კრება გადადის ყრილობისათვის დელეგატთა არჩევნებზე. კომფრაქციას შემოაქვს სია 47 ამხ. შემდგარი, სადაც შედიან უპარტიონიც და მემარცხენე სოც.-ფედერალისტებიც.

მენშევიკები აქვეყნებენ თავიანთ სიას, სადაც დასახელებულია 45 კაცი. კენჭის ყრის დროს ბევრი ჰხსნის თავის კანდიდატურას მენშევიკების სიიდან და ისმის საყვედურის ხმები: „თქვე კაი კაცებო, აღარ მეკითხებით მაინც ვარ თქვენი მომხრენი თუ არა"-ო.

კომფრაქციის სია მიღებულია 21 ხმის გამონაკლისით ეს 21 ხმა მიიღო მენშევიკების სიამ... აქ, დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკებმა არა ერთხელ გამოაცხადეს ბოიკოტი და არ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა: „თავს იკავებდენ ხოლმე"... ეხლა სცადეს „ბედი", მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ".

მბეჭდავებმა ერთხელ კიდევ გამოუტანეს მენშევიკებს მათთვის არა სასიამოვნო განაჩენი. კრება „ინტერნაციონალით" დაიშალა.

ვ. ბერბერაშვილი.

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. იპოლიტე სამსონის ძე სარიას გამოცხადდეს ცენტრალურ კომიტეტის საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში (რუსთველის პროსპ. 22), იმ შემთხვევაში თუ მას არ აქვს შესაძლებლობა გამოცხადდეს, უნდა შეატყობინოს ზემოხსენებულ განყოფილებას თავისი სწორი მისამართი.

ცეკას საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი: ი. შაქაროვი.

პროფესიონალური

— საქართველოს პროფკავშირთა საბჭო აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები შეშის დამამზადებელ საგანგებო კომისიისადმი, რომ ისინი ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქ. პროფკავშირთა საბჭოში, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები აღარ განიხილება.

სარედაქციო კოლეგია.

ანნა მიხეილის ასული და ალექსანდრე იოსების ძე ბერელაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას ამა 16 ივლისს დანიშნულია საყვარელის ქალის, მეორე გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

ქეთოს

წლის წირვა და პანაშვიდი, წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი 12 საათზე, დიდუბის ეკლესიაში. (1—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(25—11)

საქართველოში არსებულ კოოპერატიულ ორგანიზაციათა საყურადღებოდ

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ დებულებისა კოოპერატიულ საქმეთა სამმართველოს შესახებ, განახლებული სამმართველო, რომელიც არსებობს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან, შეუდგა მიმდინარე მუშაობას კოოპერაციის საერთო ხელმძღვანელობის და მის მოქმედების მეთვალყურეობის სფეროში და განაახლა რეგისტრაცია კოოპერატიულ ორგანიზაციებისა. სარეგისტრაციო გადასახადი შემდეგნაირად არის განაწილებული: 1) პირველ საფეხურის კოოპერატივები იხდიან 10 მანეთს ოქროთი, 2) კავშირები 30 მან. 3) ცენტრალური კავშირები 50 მან. პერერეგისტრაციის დროს გადახდილი უნდა იქნეს სარეგისტრაციო გადასახადის ნახევარი.

ყველა საკითხებისათვის უნდა მიმართონ სახალხო სასურსათო კომისარიატის შენობაში ყოფილ კოოპერატიულ სამმართველოს ოთახში.

კოოპერატიულ საქმეთა სამმართველოს კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე ზრ. წივწივაძე.

(1—1) საქმეთა მართველი მ. წვერავა.

თანახმად დეკრეტის № 8 მატყლის მონოპოლიის შესახებ

სახალხო სასურსათო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ყველა ის კერძო პირი და დაწესებულება, რომელსაც აქვს მატყლი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში,

მოვალეა გამოაცხადოს

ერთის კვირის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსში"

(ნიკოლოზის ქუჩა № 22) როგორც მატყლის რაოდენობა, ისე მისი ღირსება.

წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სამართალში და მატყლი ჩამოერთმევათ კონფისკაციის წესით.

(2—1) **სახალხო სასურსათო კომისარიატი.**

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ განცხადებანი მიიღება ყველა ფაკულტეტებზე ივლისის 20 დან და დამთავრდება 5 სექტემბერს. განცხადებანი მიიღება შემდეგ ფაკულტეტებზე: 1) პედაგოგიურზე (განყოფილებები: **სიბრძნის მეტყველების და სამათემატიკო საბუნების მეტყველობა**) 2) სოციალურ ეკონომიურზე (განყოფილებები: **სოციალური და ეკონომიური**) 3) **სამკურნალოზე**, 4) **პოლიტეხნიკურზე**—(განყოფილებები: **სამთომადნო საამშენებლო და მექანიკური**) 5 საagrონომიო.

სიბრძნის მეტყველების განყოფილებაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა მოიხსენიონ განცხადებაში რომელი დარგი სურთ: **ისტორიული სიტყვიერების, ფილოსოფიური, ენათ მეცნიერების თუ ფსიქოლოგიური.**

პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხულ იქნებიან მხოლოდ ისინი, ვინც უნივერსიტეტთან ჩააბარებს გამოცდას ელემენტარულ მათემატიკაში (ალგებრა, ტრიგონომეტრია და გეომეტრიაში).

განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნეს შემდეგი საბუთები (თვით დედანი და ორი შემოწმებული პირი თვითეულ საბუთისა): 1) საშუალო განათლების მოწმობა, 2) მეტრიკული მოწმობა, 3) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა, 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი და 5) 200,000 მანეთი.

პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ მხოლოდ 50,000 მან.—გამოცდის გონორარი, გამოცდის ჩაბარების და ჩარიცხვის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში უნდა წარმოდგენილ იქნეს 200,000 მანეთი. გამოსაცდელი პირები (პოლიტექნიკურ ფაკულტეტისათვის) უნდა გამოცხადდნენ უნივერსიტეტში ჯგუფებად დანაწილებულნი 10 სექტემბერს. გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა.

(2—2)

იყიდება ყინული

ქალაქის სასაკლაოებზე. მოტანით 40.000 მან. ფუთი, ადგილობრივ 30.000 მანეთი.

იმათ, ვისაც სურთ შეიძინონ ყინული უნდა წარადგინონ სასაკლაოს კანცელარიაში განცხადება (ტელ. 8—66).

ტფილისის ქალაქის სასაკლაოს დირექტორი ი. დვოროკოვსკი.

(3—1)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

(ЗАКВНЕШТОРГ)

იღებს რა მონაწილეობას ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე (1 აგვისტოდან—15 სექტემბრამდე), აცნობებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო კომერსანტებს, რომელთაც სურს მონაწილეობა მიიღონ იარმუკაზე თავისი საქონლით, რომ იგი კისრულობს ამ საქონლის გადაგზავნას შეღავათიანს, საკომისიო პირობებში თავისი მარშრუტებით.

ცნობებისათვის მსურველთ უნდა მიმართონ ყოველ დღე (უქმეებს გარდა) დღის 12—3 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე ზაკვნეშტორგის ნიჟეგოროდის იარმუკაზე მონაწილეობისათვის არსებულ დროებით ბიუროში (ბარიატინსკის ქ. № 6, ზაკვნეშტორგის სარაჯრო განყოფილების ბინა) ბიუროს თავმჯდომარეს ტ. ს. მელიქოვს ან მის მოადგილეს ნ. ლ. კოვალევსკის. ქალაქ გარეშეთ სთხოვენ მიჰმართონ ზაკვნეშტორგის სათანადო განყოფილებას ადგილობრივ.

ა.-კ. ს. ს. რ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.

აბანოები
ყოფ. ორბელიანის, არზრუმინსკის და ირაკლის
ახლად შეკეთებულია და მშვენივრად მოწყობილი ნომრებით.
ცივი და ცხელი ოთახი
გოგირდის წყალი. მუდამ არის თავისუფალი ნომრები.
(10—2)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.